



სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება  
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“  
Scientific magazine

“AUTHORITY AND SOCIETY  
(History, Theory, Practice)”  
**Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО**  
(История, Теория, Практика)”

№ 1 (21) 2012, ტომი I

ლია ლიკლოგაშვილის პსოციალის  
სამეცნიერო ჟურნალი

Scientific magazine of  
The Open Diplomacy Association


Научный журнал  
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

EISSN 1512-4029

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

**UDC 378(479.22)(051.2)**

**ს. 402**



**სარედაქციო კოლეგია:**

**შოთა დოლონაძე**

მთავარი რედაქტორი

**ოთარ ქოჩორაძე**

მთავარი რედაქტორის  
მოადგილე

**ოთარ ბადათურია**

პასუხისმგებელი მდივანი

ნანა ავალიანი, რუდიგერ ანდრესენი, მეუფე აბრაამი (გარმელია),  
ევგენი ბარათაშვილი, გიორგი ბადათურია, ოთარ ბადათურია,  
რასა ბელოკაიტქ, ანასტასია განიჩი, იური გორიცკი, ვახტანგ  
გურული, შოთა დოლონაძე, ელუნ დრაკე, პარალდ ვერტცი, გენადი  
იაშვილი, სერჯო კამიზი, რიჩარდ მაასი, რონ მეტრეველი, იოშიკა  
მიცუი, ბადრი ნაკაშიძე, ლიზავეტა ჟახანინა, ბუდი ნურანი  
რუწანა, რამონ პიეტრო-სუარესი, გერტ სურმიულენი, ქეთი  
ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩორაძე, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე,  
ენდრიუ ლენექს ჰარდინგსი



უურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის  
პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე  
პასუხისმგებლია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები  
გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა  
არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,  
I სართული, ტელ. 2 36-45-14,  
**77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.**

Tel. [+995 32] 2364514

e-mail: [office@odageorgia.ge](mailto:office@odageorgia.ge)

გარეკანის გაფორმება: დაკით პალათურია  
უურნალის ელექტრონული ვერსა გამოქვეყნებულია ვებგვერდებზე:

<http://www.odageorgia.ge/page=gamocemebi>

<http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124/>

უურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო  
სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში:

<http://www.eLIBRARY.ru>

**ს ა რ ჩ ე ვ 0  
თეორია**

**გიორგი ბაღათურია, მერაბ ტაბატაძე**  
პროგნოზირების სისტემის დამუშავება საჯარო მმართველობის  
ობიექტებისთვის-----4

**ინგა წერეთელი**  
დირექტულება და მისი ობიექტურობის პრობლემა-----21

**სურვია**

**გიორგი ალადაშვილი**  
გეოპოლიტიკური ინტერესების ცოდნის ეფოლუცია  
ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში-----29

**მკონიანია**

**თეა საჩიძე**  
ეკონომიკური გლობალიზაცია-----37

**დავით აბულაძე**  
შრომის ეთიკის როლი საქართველოს ეკონომიკური  
უსაფრთხოების სისტემაში-----46

**სამართალი**

**ქონსტანტინე დოხნაძე**  
გენოციდის სისხლისამართლებრივი დასასიათება  
(ინგლისურად)-----54

**საზოგადოება**

**მარიამ ვარდიაშვილი**  
როგორ დავწეროთ სამეცნიერო ნაშრომის შესავალი-----60

**კახაბერ ჩინჩალაძე**  
კულტურის ფენომენი -----65

**ლიანა გედევანიაშვილი**  
განათლების ტრანსფორმაცია კომპიუტერული თამაშების  
საშუალებით-----74

**ბადრი ცხადაძე ება ცხადაძე**  
ინდიევროპული ენების ართონი (//არტიკლი) და ქველი ქართული  
ენის ნაწევარი (ფუნქცია და გამოხატვის საშუალებანი ქართველური  
ენების მონაცემების მიხედვით)-----78

# თ ე რ ი ა


გიორგი ბაჩათშრია მერაბ ტაბატაძე  
პროგნოზირების სისტემის დამუშავება საქართველოშის  
ობიექტების მიზანის

## შესავალი

ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატება და განვითარება წარმოუდგენელია სტრატეგიული დაგეგმვის გარეშე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის მიზნებსა და ამოცანებს, აანალიზებს მის სუსტ და ძლიერ მხარეებს და აფასებს შიდა და გარე შესაძლო საფრთხეებს. დაგეგმვის ეს ფორმა ხანგრძლივი დროის მონაცემთს მოიცავს და განსაზღვრავს ორგანიზაციის სტრატეგიულ მიმართულებას. თუმცა სტრატეგიულ გეგმა არ უნდა განვითხოვოთ, როგორც შპატლონური დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია კომპანიის განვითარების მკაცრად რეგლამენტირებული ჩარჩოები. რადგან ნებისმიერი კომპანიის საქმიანობაზე გავლენას ახდებს ორგანიზაციული გარემო, რომელიც თავის თავში მოიცავს სამუშაო და საერთო გარემოს, და მათ ზემოქმედების ფაქტორებს საწარმოს ფუნქციონირებაზე. ორგანიზაციულ გარემოზე კი, თავის მხრივ ზემოქმედებს მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური გლობალიზაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით პერიოდულად საჭიროა გარკვეული ცვლილებების შეტანა სტრატეგიულ გეგმაში, რათა მან არ დაკარგოს აქტუალობა, კომპანია უფრო მოქნილი გახადოს ორგანიზაციულ გარემოში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში და ამით “სტრატად ცვალებად სამყაროში” უზრუნველყოს ორგანიზაციის აღაპებულობის მაღალი ხარისხი გარემო პირობების მიმართ, რაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ნებისმიერი კომპანიის გადარჩენისა და წარმატებისთვის.

აღნიშნულის გამო პროგნოზირება არის ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებითაც სტრატეგიულ გეგმაში შესაბამისი კორექტივები შეიტანება. იგი წარმოადგენს კომპანიასა და ორგანიზაციულ გარემოში მიმდინარე პროცესების შესწავლის და მოვლენების შესაძლო განვითარების განალიზების საფუძველზე საჭირო ცვლილებების განხორციელების საშუალებას. შესაბამისად, პროგნოზირება, როგორც ფუნქცია ძირეულად არის დაკავშირებული სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის შემდეგ ეტაპებთან: მისიისა და მიზნების განსაზღვრა, მიკრო და მაკრო გარემოს ანალიზი, სტრატეგიის შემუშავება, სტრატეგიის განხორციელება და მონიტორინგი. ამიტომ პროგნოზირება უნდა განვითხოვოთ, როგორც

სტრატეგიული დაგეგმვის დინამიურ პროცესის განუყოფელი ნაწილი. სქემატურად სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპების თანმიმდევრობა და პროგნოზირების როლი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესისა და შემუშავებული სტრატეგიის რეალიზების დროს შეიძლება წარმოვადგინოთ ნახ. 1-ის სახით.



ნახ. 1. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპები და

### პროგნოზირება:

- ეტაპი 1. მოცემული ბიზნესის აღწერა;
- ეტაპი 2. სტრატეგიული ხედვის, მისისა და მიზნების ჩამოყალიბება;
- ეტაპი 3. მიკრო- და მაკრო-გარემოს ანალიზი, SWOT და PESTEL ანალიზი;
- ეტაპი 4. სტრატეგიის შემუშავება;
- ეტაპი 5. სტრატეგიის განხორციელება;
- ეტაპი 6. მონიტორინგი და კორექტირება.

როგორ ვხედავთ სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპს წარმოადგენს მოცემული ბიზნესის აღწერა, ორმლის საშუალებითაც ხდება კომპანიის დანიშნულების, ფუნქციონირების, მირითადი აქტივების აღწერა და ორგანიზაციის ადგილისა და როლის განსაზღვრა მთლიან სისტემაში. შემდეგ ეტაპზე ხდება კომპანიის განვითარების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება, მისისა და მიზნების ფორმალიზება. ანალიზდება კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები, ფასდება შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები (SWOT ანალიზი). შემდეგ ეტაპს წარმოადგენს მიკრო- და მაკრო-გარემოს ანალიზი, ასევე, PESTEL ანალიზი, რაც გულისხმობს პოლიტიკურ-სამართლებრივი გარემოს და ორგანიზაციის საქმიანობაზე ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, და ტექნოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების როლისა და ეკოლოგიური მოთხოვნების გაანალიზებას. აღნიშნული

ეტაპების შემდეგ ხდება სტრატეგიების შემუშავება და რეალიზება დასახული მიზნების მიღწევისათვის. სტრატეგიის რეალიზების თანმდევი ეტაპია სტრატეგიის იმპლემენტაციის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში სათანადო კორექტივების შეტანა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.

მონიტორინგის პარალელურად, მუდმივად საჭიროა მაკროგარემოში და კომპანიაში მიმდინარე პროცესების შესწავლა, მათი შესაძლო განვითარების პროგნოზირება და მათან მიმართებაში სტრატეგიული გეგმის რეალიზების შესაძლებლობის გაანალიზება. პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაცია მიიღება სტრატეგიული დაგეგმვის I, II, III და VI ეტაპებიდან. განსაზღვრული საკვლევი ობიექტის შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და გაანალიზების შემდეგ, პროგნოზირების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით კეთდება მოვლენათა შესაძლო განვითარების პროგნოზი. მაკროგარემოში და ორგანიზაციაში მოსალოდნელი ცვლილებებისა და სტრატეგიული გეგმის შესრულების პროგნოზირების შედეგად პირველ რიგში კორექტივები შეიტანება IV და V ეტაპებზე. თუ მოსალოდნელი ცვლილებები უფრო მკვეთრ ზეგავლენას იქონიებს სტრატეგიულ გეგმაზე საჭიროა I, II და III ეტაპების გადახედვაც. შესაბამისად პროგნოზირება სტრატეგიული დაგეგმვის და მართვის ორგანული ნაწილი და აუცილებელი ფუნქციაა.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში პროგნოზირების როლი და მისი მნიშვნელობა სტატიაში განხილულია შპს „საქართველოს რეკინგზის“ მგზავრთა გადაყვანის მაგალითზე. შპს „საქართველოს რეკინგზა“ საკუთრების ფორმიდან გამომდინარე საჯარო მმართველობის ობიექტია. ამასთანავე გაზრდილია მისი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა. რადგან ქვეყნისთვის, რომელსაც თავისი გეოპოლიტიკური მდგრადებიდან გამომდინარე მინიჭებული აქცეს სატრანზიტო დერეფნის ფუნქცია სარკინიგზო მაგისტრალს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ასევე, რკინიგზა განიხილება ქმედის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთერთ საშუალებად, რადგან კომუნიკაცია გაერთიანებისა და კონსოლიდაციის ერთ-ერთი წინაპირობაა. ამ მოსაზრებას ადასტურებს დიდი გერმანელი მოაზროვნის იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს სიტყვებიც - „მე არ მეშინია, რომ გერმანია დაქუცხაცებული დარჩება: ჩვენი ჩინებული გზატკეცილები და სამომავლო რკინიგზები, სულერთია თავის საქმეს გააკეთებენ. მთავარია, რომ გერმანელებს ერთმანეთი უყვარდეთ და ერთსულოვანი იყვნენ გარეშე მტერთან ბრძოლაში“ [5, გვ. 370].

## 1. ბიზნესის აღწერა

საქართველოს რკინიგზის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის კაპიტალის წილის 100%-იანი მფლობელი სახელმწიფოა. კომპანიის ძირითადი დანიშნულებაა “ორ კონტინენტს შორის კაშირის, ტერიტორიის უფლებური გადაზიდვის, მეზაგრთა უსაფრთხო და კომუნიტეტული გადაყვანის უზრუნველყოფა და ამით დირსეული წვლილის შეტანა ქვეყნის განვითარებაში”. საქართველოს რკინიგზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სამგზავრო გადაყვანები, რომელიც წარმოდგენილია ფილიალის სახით.

სამგზავრო გადაყვანები კომპანიაში ჩამოყალიბებულ სამ სტრატეგიულ ბიზნეს ერთეულს (სბე) შორის ერთ-ერთია. საქართველოს რკინიგზის სამგზავრო გადაყვანები, სხვა ქვეყნების რკინიგზების სამგზავრო გადაყვანების მსგავსად (იშვიათი გამონაკლისების გარდა), მხოლოდ საკუთარი შემოსავლებით ვერ უზრუნველყოფს დანახარჯების დაფარვასა და მოგების მიღებას, რადგან მისი საქმიანობა მირეულად არის დაპავშირებული საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანები სოციალური ფუნქციის შესრულებასთან. შესაბამისად სბე “სამგზავრო გადაყვანების” ხარჯები სატვირთო გადაზიდვებიდან მიღებული მოგებიდან იფარება, ანუ ხდება ჯვარედინი სუბსიდირება.

საქართველოს რკინიგზის განვითარების სტრატეგიას, სახელმწიფო საკუთრების ფორმიდან გამომდინარე, განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკა. რკინიგზა და მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულები კი შემსრულებლები არიან ამ სტრატეგიის. ამიტომ სბე “სამგზავრო გადაყვანების” განვითარება ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და გეოპოლიტიკური მდგბარეობის გათვალისწინებით ხდება.

სბე “სამგზავრო გადაყვანების” ძირითადი საშუალებები შეადგენს მთლიანი რკინიგზის 5%-ს, პერსონალი - 12,5%-ს, შემოსავლები - 5%-ს, საექსპლუატაციო ხარჯი (ცვეთის გარეშე) - 9%-ს, ერთ ლარ დანახარჯზე უკაბებამ 2010 წლისათვის სბე-სთვის შეადგინა 68%.

საქართველოს რკინიგზის სბე “სამგზავრო გადაყვანები” ახორციელებს სამგზავრო მატარებლებით მგზავრების გადაყვანას ძირითადად საქართველოს ტერიტორიაზე და, ასევე, მის ფარგლებს გარეთ კანონით დადგნილ ნორმებში. იგი პასუხისმგებელია მგზავრთა უსაფრთხოებაზე და მომსახურების ხარისხზე. სბე “სამგზავრო გადაყვანები” ფლობს და მართავს კომპანიის

სალოკომოტივო და სამგზავრო სავაგონო პარკს, წარმართავს სამგზავრო გადაყვანების მარკეტინგს, ადგენს მატარებლების მოძრაობის განვითარების და განსაზღვრავს სატარიფო პოლიტიკას.

სბე “სამგზავრო გადაყვანები” ორიენტირებულია ბიზნესის განვითარებაზე, ამ ეტაპზე ბიზნესის “პროგრამა მაქსიმუმი” ითვალისწინებს ნულოვან მოგებაზე გასვლას. შემოსავლების ზრდის მიზნით აუცილებელია საფასო პოლიტიკისა და მატარებელთა მოძრაობის განვითარების ოპტიმიზაცია სრულიად ფაქტორის გათვალისწინებით და საოპერაციო დანახარჯების მაქსიმალურად შემცირება.

ამჟამად სბე ახორციელებს ყოველდღიურად 46 რეისს 22 მიმართულებით: 10 რეისს 5 მაგისტრალური მიმართულებით; 34 რეისს 15 საგარეუბნო მიმართულებით და 2 რეისს 2 საერთაშორისო მიმართულებით;

ზაფხულობით, მომატებული მგზავრთნაკადის დროს დამატებით ინიშნება 3 მაგისტრალური და 2 საერთაშორისო მატარებელი.

ბიზნეს ერთეულის მოძრავი შემადგენლობის პარკი შედგება:

დასახელება	მოძრავ მდგომარეობაში	არა მუშა მდგომარეობაში	სულ
ელმავალი	18	19	<b>37</b>
საქლასო გამონი	107	86	<b>193</b>
ელ.მატარებლის ვაგონები	72	69	<b>141</b>

ელექტრომატარებლის 72 ვაგონი ფორმირებულია 18 მატარებლად.

სბე “სამგზავრო გადაყვანები” ახორციელებს მის მფლობელობაში არსებული შენობა ნაგებობების გაიჯარებას. დღეისათვის მფლობელობაში არსებული 276 ათასი კვ.მ ფართობიდან აქტიური ფართობია 211 ათასი კვ.მ, რომელიც ვაგზლების და დამხმარე შენობა-ნაგებობების სახით არის წარმოდგენილი. აქტიური ფართობიდან გაიჯარებულია 79 ათასი კვ.მ., რომელიც თვეში იძლევა 139 ათასი ლარის ოდენობის საიჯარო შემოსავალს.

## 2. სტრატეგიული ხედვა, მისია, მიზნები

სტრატეგიული ხედვა, მისია, მიზნები – მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება. მის სტრატეგიულ მიზანს წამოადგენს: ბიზნეს-ერთეულის ნულოვანი მოგების მიღწევა, სოციალური ფუნქციის შენარჩუნების პირობებში. ამის გარდა, ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს შემდეგი მიზნები:

- მოძრავი შემადგენლობისა (სამგზავრო ვაგონები, ელექტრომატარებლები, ლოკომოტივები) და სხვა სამგზავრო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოდერნიზება, განახლება;
- მგზავრობის დროის შემცირება;
- მგზავრთა მომსახურების სფეროში ახალი ტიპის სერვისების დაწერგვა;
- ხარჯების შემცირება და შემოსავლების ზრდა;
- ბაზრის დივერსიფიკაცია - ახალი პროდუქტების შექმნა და მომხმარებლის მოზიდვა;
- ბიზნეს ერთეულის სოციალური ფუნქციისგან ეტაპობრივად განთავისუფლება.

### SWOT - ანალიზი

#### ძლიერი მხარეები:

- ფილიალი “სამგზავრო გადაყვანები” მონოპოლისტია სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანაში;
- საქართველოში სარკინიგზო ტრანსპორტს დიდი ხნის ისტორია და ტრადიციები აქვს, რაც განაპირობებს მომხმარებლის ნდობის მაღალ ხარისხს;
- უსაფრთხოების და კომფორტის მაღალი დონე;
- თითქმის ქვეყნის მთელს ტერიტორიას მოიცავს სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც ქვეყნის ძირითად ქალაქებს და პორტებს აკავშირებს ერთმანეთთან;
- მგზავრობის დაბალი ფასი სხვა ტრანსპორტთან შედარებით;
- ქნერგომატარებლების (ნავთობის) ფასების ზრდის ტენდენცია მსოფლიოში.
- ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის სახეობა.

#### სუსტი მხარეები:

- დიდი მასშტაბების გამო, კომპანიისთვის დამახასიათებელია ნაკლებად მოქნილი სტრუქტურა;
- ნაკლებად დივერსიფიცირებული ბიზნესი;

- საბჭოთა რეინიგზისაგან დანატოვარი ქონება, არაპროფილური, ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების, მოძველებული ვაგონებისა და ლოკომოტივების სახით;
- ორგანიზაციის საქმიანობას გააჩნია დიდი სოციალური დატვირთვა, რაც ნებატიურად აისახება სტრატეგიული მიზნის მიღწევაზე;
- საერთაშორისო სარეინიგზო კავშირი მხოლოდ ორ მოსაზღვრე ქვეყანასთან (სომხეთი და აზერბაიჯანი).
- მგზავრთანაკადის სეზონურობა, რის გამოც სავაგონო პარკი წელიწადის უმტკიცეს დროს სრულად ვერ იტვირთება;
- მაღალი საექსპლუატაციო ხარჯები.

#### საშიშროებები

- ჯვარედინი დაფინანსების შეწყვეტა საქართველოს რეინიგზის გასხვისების შემთხვევაში;
- აგტობანის მშენებლობა, რომელიც სიჩქარის გაზრდის ხარჯზე განაპირობებს სააგენტომობილო ტრანსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას;
- ქვეყნის არასტაბილურ რეგიონში მდებარეობა, ომისა და ტერორიზმის საშიშროება.

#### შესაძლებლობები:

- მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე სარეინიგზო ტრანსპორტის წილის გაზრდისა და ახალი სეგმენტების ათვისების საშუალება. არსებობს კახეთის მიმართულებით სამგზავრო მოძრაობის აღდგენის პერსპექტივა. ასევე, არის იმის პოტენციალი, რომ გაიზარდოს სარეინიგზო ტრანსპორტის წილი ბაზრის იმ სეგმენტშიც რომელშიც იმყოფება. შპს “საქართველოს რეინიგზის“ ფილიალ “სამგზავრო გადაყვანების“ 2010 წლის კვლევის შედეგების მიხედვით თბილისიდან და თბილისის მიმართულებით მოძრავი სარეინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის მხოლოდ 22% მოდის სარეინიგზო ტრანსპორტზე, 78% კი საავტომობილოზე;
- მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიების (უნარ-ჩვევები, ცოდნა, ინსტრუმენტები, მანქანა-დანადგარები, კომპიუტერები და სხვ.) სწრაფად განვითარების ტენდენციის შედეგად, სერვისების და მომსახურების გაუმჯობესება;
- ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვნად გაზრდა მოდერნიზაციის პროექტის – “სწრაფი რეინიგზის” დასრულების შემდეგ; (პროექტის მირითადი მიზნებია: მგზავრობის

დროის შემცირება, მაქსიმალური უსაფროების უზრუნველყოფა და რკინიგზის მაგისტრალის გამტარუნარიანობის გაზრდა)

- ბიზნესის გაფართოება ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის მშენებლობით თურქეთსა და ევროპასთან დაკავშირების საშუალებით;
- ბიზნესის დივერსიფიკაცია: ტურიზმის განვითარება, რეკლამის განთავსება, დამატებითი აღმტერნატიული სატრანსპორტო საშუალებები;

#### წარმატების ფატორები:

- თანამედროვე ტექნოლოგიების მქონე სავაგონო პარკი;
- მგზავრობის მინიმალური დრო;
- სრულყოფილი სატარიფო პოლიტიკა;
- ოპტიმალური სამატარებლო განრიგები და მარშრუტები;
- კომფორტული მატარებლები და თანამედროვე სერვისები;
- ოპტიმალური საშტატო განრიგი, დეცენტრალიზაციის მაღალი დონით;
- კვალიფიციური კადრები.

### 3. მიკრო- და მაკრო-გარემოს ანალიზი, PESTEL ანალიზი

**მაკრო-გარემოს ანალიზი** - მაკრო-გარემო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სბე “სამგზავრო გადაყვანების” ბიზნესზე, რადგან კომპანია არ წარმოადგენს ჩაკვეტილ ეკონომიკურ სისტემას, შესაბამისად, მაკრო გარემოს გაანალიზებისას გასათვალისწინებელია ეროვნული და გლობალური ეკონომიკის, მრეწველობისა და გარემოს როლი.


**მიკრო-გარემოს ანალიზი** - მოიცავს კომპანიის სიტუაციური ანალიზის ჩატარებას, მისი ეკონომიკური, ფინანსური და სხვა რესურსების იდენტიფიცირებას და მათ მობილიზებას განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის.

#### PESTEL ანალიზი

**პოლიტიკურ-სამართლებრივი** - გასულ წლებში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად აჩვენა შიდა პოლიტიკური გარემოს არასტაბილურობის ზეგავლენა. ზემოაღნიშნულის გამო მნიშვნელოვნად შემცირდა მგზავრთა გადაყვანა.

**ეკონომიკური ფაქტორი** - მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის განვითარებაზე, ეკონომიკური კრიზისის გამო, 2009 წელში სამგზავრო გადაყვანებიდან შემოსავლები შემცირდა 9%-ით.

შპს „საქართველოს რკინიგზის“ სტ „სამგზავრო გადაყვანების“ და ქვეყნის ეკონომიკური მდგრძარების კავშირზე მიუთითებს სამგზავრო გადაყვანებიდან მიღებული შემოსავლებისა და ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებლების ონაფარდობის გრაფიკი (ნახ.2.)



**ნახ.2.** სამგზავრო გადაყვანებიდან მიღებული შემოსავლებისა და ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებლების ონაფარდობა, წლების მიხედვით\*.

გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ ქვეყნის მშპ-სა და კომპანიის სამგზავრო გადაყვანებდან მიღებულ შემოსავლებს შორის არსებობს დადებითი კორელაციული კავშირი, ანუ ქვეყნის მშპ გარევულწილად ზემოქმედებს ფილიალის შემოსავლებზე.

\***წყარო** – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შპს „საქართველოს რკინიგზის“ სამგზავრო გადაყვანების ფილიალი

**სოციალურ-ეულტურული ფაქტორი** - სოციალური ფაქტორი პირდაპირ აისახება სამგზავრო გადაყვანების ბიზნესზე. სწორედ ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფაქტორია მგზავრთა გადაყვანის, როგორც ბიზნესის განვითარების ძირითადი შემაფერხებელი, რადგან სახელმწიფო ხელისუფლება ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონის გასანეიტრალებლად შპს „საქართველოს რკინიგზის“ რესურს ძალზედ ეფუძნება.

**ტექნოლოგიური ფაქტორი** - კომპანია ხშირად დებს ინვესტიციას სამგზავრო შემადგენლობების მოდერნიზებასა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის განახლებაში. ბოლოს განხორციელდა პროექტი ქართულ-ჩინური მატარებელი, რომელიც გამოირჩევა დაცვით მაგისტრალისთვის მაქსიმალური სიჩქარით (120 კმ/სთ) და

თანამედროვე მართვის და უსაფრთხოების სისტემებით. უახლოეს მომავალში კვლავ იგეგმება საქართველოს სარკინიგზო ხაზის მაგისტრალურ მიმართულებებზე მოძრავი საკლასოვაგონიანი მატარებლების ჩანაცვლება ჩინური წარმოების, მოდერნიზებული ელექტრომატარებლებით. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ხორციელდება აგრეთვე ბილეთების გაყიდვა (ინტერნეტი, ფეიბოქსი).

**ეპლოგიური ფაქტორი** - სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრების გადაყვანაზე კლიმატის ცვლილება, კერძოდ ამინდის გაუარესება (დიდოვალობა, ტემპერატურის მკვეთრად დაწევა...) დაღებითად მოქმედებს, რადგან სარკინიგზო ტრანსპორტი, საავტომობილოსთან შედარებით გამოირჩევა მოძრაობის უსაფრთხოების მაღალი ხარისხით.

**სამართლებრივი ფაქტორი** - საწარმოში დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის სამართლევრივი ურთიერთობა დარეგულირებულია ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობითა და კომპანიის შიდა კორპორატიული აქტებით.

#### 4. სტრატეგიის შემუშავება

სტრატეგიის შემუშავებისას გასათვალისწინებელია, კომპანიის შესაძლებლობები, მისი და მისი კონკურენტების ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლო საფრთხეები, შეზღუვები და სხვა ფაქტორები.

**დარგის ძირითად კონკურენტს** წარმოადგენს საავტომობილო ტრანსპორტი. ქვეყნის ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალის, ავტობანის მშენებლობა საავტომობილო ტრანსპორტს, სულ უფრო მეტად კონკურენტულს ხდის სარკინიგზო ტრანსპორტთან შედარებით, მაგრავრობის დროის შემცირების გამო.

საავტომობილო ტრანსპორტის ძირითადი უპირატესობებია: მგზავრობის დროის სიმცირე, რეისების ინტენსივობა, დანიშნულების ადგილზე მიყვანის უპირატესობა, რეისების სიხშირის და მიმართულების ცვლილების სიმარტივე, კონკურენტულ გარემოზე დროული რეაგირების უნარი, სატარიფო პოლიტიკის მოქნილობა;

**სარკინიგზო ტრანსპორტის** ძირითადი უპირატესობებია, მგზავრობის დაბალი დირებულება, უსაფრთხოების მაღალი ხარისხი, კომფორტული გარემო(სივრცე).

**მგზავრთა გადაყვანის ძირითადი პროდუქტებია:** მგზავრთა გადაყვანა რეგიონული მატარებლებით, მგზავრთა გადაყვანა მაგისტრალური მატარებლებით, მგზავრთა გადაყვანა საერთაშორისო მატარებლებით.

მაგისტრალური და საერთაშორისო მატარებლებში ჩაბმულია I, II, III კლასის ვაგონები, რომლებიც, ასევე განსხვავდებიან

ერთმანეთისგან რაგით (მოდერნიზებული და არამოდერნიზებული). მოდერნიზებული ვაგონები გამოირჩევიან სევისის უფრო მაღალი დონით, კონდიციონირების და გათბობის თანამედროვე სისტემებით.

### 5. სტრატეგიის განხორციელება

დასახული მიზნების მისაღწევად გასატარებელი ღონისძიებებია:

#### ა) ხარჯის შემცირება:

- ისეთი აქტივებით ოპერირება რომელებიც ნაკლებ რესურსებს მოითხოვს. მაგ.: ელექტრომატარებლებით საკლასოვაგონიანი მატარებლების ჩანაცვლება. აღნიშნული ტიპის მატარებლები შესაძლებელია მეტი მგზავრის გადაყვანა და საჭიროებს ნაკლებ საექსპლუატაციო ხარჯებს;
- არაპროფილური და გამოუსადეგარი აქტივების გადაცემა საქართველოს რკინიგზის შეილობილ კომპანიაზე - საექსპლუატაციო, ცვეთის ხარჯების და ქონების გადასახადის შემცირება;
- საშტატო განაკვეთებისა და სახელფასო ფონდის ოპტიმიზაცია - ფუნქციების თანამშრომელთა ოპტიმალურ რაოდენობაზე გადანაწილება, ახალი ტექნილოგიური პროცესების განხორციელება, გაყიდვების თანამედროვე სისტემების დანერგვა;
- კველაზე არარენტაბელური რეისების და მარშრუტების ავტობუსებით ჩანაცვლება, მირითადად საგარეუბნო (რეგიონულ) მიმართულებებზე;
- სიჩქარის გაზრდით და სარკინიგზო მაგისტრალის გამოყენების დროის შემცირებით საექსპლუატაციო ხარჯების შემცირება, რაც მოიცავს ინფრასტრუქტურის ხარჯს.

#### ბ) შემოსავლების ზრდა


- მაგისტრალურ მიმართულებებზე მოძრავი მატარებლებით მგზავრობის დირექტულების გაზრდა. მგზავრთა გადაყვანის ბაზრის ანალიზის გათვალისწინებით მაგისტრალურ მიმართულებებზე არსებობს ბილეთის საფასურის მომატების რესურსი. ამასთანავე, სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენლებისთვის ფასთა შორის სხვაობის სუბსიდირება შესაძლებელია განახორციელოს სახელმწიფომ ან რკინიგზის პოლინგმა.
- დაუტენირთავი ქონების გაიჯარება - დაახლოებით 142 ათასი კვართობი;
- საგარაეუბნო (რეგიონული) მიმართულებებზე მგზავრობის საფასურის მომატების არსებული რესურსის გამოყენება, ერთსარტყელიანი სატარიფო სისტემის (ამჟამად მირითადად არის ორ სარტყელიანი სატარიფო სისტემა) და გაბილეთიანების

ავტომატიზირებული სისტემის დანერგვა. ფასების დისკრიმინაციით სოციალურად დაუცველი ფენისათვის შედაგათიანი ტარიფის დაწესება;

- შენობა-ნაგებობებსა და მოძრავ შემადგენლობებში რეკლამის განთავსებით შემოსავლის მიღება.

## 6. მონიტორიგი და კორექტირება

სტრატეგიული მიზნების მისაღწევად გასატარებელი დონისძიებების შესრულებაზე პერიოდულად უნდა განხორციელდეს მონიტორინგი, რომლის დროსაც შესრულებული სამუშაოების შეფასება მოხდება დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და საჭირო ცვლილებები შეიტანება შემუშავებული სტრატეგიის რეალიზების გეგმაში. მონიტორინგის პარალელურად, ასევე საჭიროა მაკრო-გარემოსა და ორგანიზაციაში მიმდინარე ეკონომიკური და სხვა თანმხელები პროცესების შესწავლა, მათი შესაძლო განვითარების ტენდენციის განკვრება და მათთან მიმართებაში სტრატეგიული მიზნების მიღწევის შესაძლებლობის გაანალიზება. პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღება კი შესაძლებელია „სტრატეგიული დაგეგმვის პროცესისა და პროგნოზირების“ სქემის (ნახ. 1) შესაბამისად, ხოლო პროგნოზირება კი შესაძლებელია განხორციელდეს პროგნოზირების კომბინირებული მეთოდის შესაბამისად (ნახ. 3) მიხედვით. შპს „საქართველოს რკინიგზის“ სამგზავრო გადაყვანების საქმიანობის მოკლევადიანი პროგნოზის გაკეთებისას რეკომენდებულია გამოყენებული იქნას პროგნოზირების ექსტრაპოლაციური მიდგომა.



ნახ. 3. საჯარო მმართველობის ობიექტების პროგნოზირების სისტემა

სქემაზე მოცემულია საჯარო მმართველობის ობიექტების საქმიანობის შედეგების პროგნოზირების სისტემა. სისტემისთვის დამახასიათებელია პროგნოზირების კომბინირებული მეთოდის გამოყენება, რომელიც აერთიანებს პროგნოზირების რაოდენობრივი და ექსპერტული შეფასების მეთოდებს. მოცემული სისტემის სპეციფიურობა ასევე, მდგომარეობს იმაშიც, რომ პროგნოზირების მთავარი ფიგურა, ექსპერტი საკითხის შესწავლისა და შესაძლო მოვლენების განსაჭვრებად იყენებს პროგნოზირების, როგორც რაოდენობრივ ისე ექსპერტული შეფასების მეთოდებს.

ექსპერტების შერჩევისა და კომპეტენტურობის დასადგენად კი გამოიყენება საექსპერტო შეფასების სანდოობის განმსაზღვრელი მეთოდოლოგია (პროგრამა) [4], რომელიც კონკრეტულ დარგში ანალიტიკოსის კვალიფიკაციას განსაზღვრავს შემდგა კრიტერიუმების გათვალისწინებით: განათლების ხარისხი; საერთო შრომითი გამოცდილება; შრომითი გამოცდილება მოცემულ დარგში; საექსპერტო გამოცდილება; მოცემული დარგის შესახებ ინფორმაციულობის დონე და საექსპერტო ეფექტიანობა, რომელიც ძირითადად ანალიტიკოსის მიერ გაპეობული გამართლებული პროგნოზების მაჩვენებელია.

პროგნოზირების კომბინირებული მეთოდის გამოყენების დროს უმნიშვნელოვანესია შემკვეთის როლი. შემკვეთი შეიძლება იყოს პიროვნება, პიროვნებათა ჯგუფი, ორგანიზაცია და სხვ. შემკვეთის ფუნქციაა საექსპერტიზო ამოცანის ჩამოყალიბება და ექსპერტიზის შედეგების გამოყენება დასტული საკითხის გადასაწყვეტად. შესაბამისად, ექსპერტიზის შემკვეთებად უმეტესწილად გვევლინებიან მართვის სუბიექტები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება.

## დასკვნა

ამრიგად, შპს „საქართველოს რკინიგზის“ სამგზავრო გადაყვანების ფილიალისთვის, როგორც საჯარო მმართველობის ობიექტისთვის წარმატებისა და განვითარებისთვის რეკომენდებულია სტრატეგიულ დაგეგმვასთან ერთად პროგნოზირების კომბინირებული მეთოდოლოგიის გამოყენება, რაც უზრუნველყოფს მართვის სისტემის მოქნილობასა და კომპანიის ადაპტურობის მადალ ხარისხს თანამდებობის ფილიალის გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ.

## ლიტერატურა

### Reference:

1. Dogonadze Sh., Bagaturia O., saxelmwifo martvis tanamedrove problemebi, Tbilisi, 2009.(Georian)
2. Bagaturia G., Bagaturia O., strategiuli dagegma saxelmwifo martvis da biznesis amocanebistvis. Tbilisi. 2009.(Georgian)
3. Bagaturia G. Business Forecasting. Tbilisi 2009 (English)
4. Bagaturia G., Tabatadze M., expertis kompetenturobis shefasebis metodis damushaveva saxelmcifo martvis amocanebistvis. jurnali “xelisufleba da sazogadoeba” №3(11). Tbilisi(Georian)
5. Kochoradze O., geopolitikis safuzvlebi. Tbilisi. 2009.(Georgian)
6. JaliaSvili J., politikuri martvisa da prognozirebis teoriuli sakitxebi. Tbilisi. 1994. (Georian)
7. Tabatadze M. prognozirebis sistemis specifikuroba saxelmwifo martvis amocanebshi (saqartvelos rkinigzis magalitze) jurnali “xelisufleba da sazogadoeba” №8. Tbilisi(Georian)
8. Garet R. Jons., Jenifer M. Georg., tanamedrove menejmentis safuzvlebi. Tbilisi. 2006.(Georgian)
9. Griffin K. Fundamentals of Management. 2008 (English)  
<http://books.google.ge/books>
10. N. Gregory Mankiw ekonomikis principebi. Tbilisi. 2000 (Georgian)
11. Ventcel E. Albatobata teoria. Tbilisi 1980 (Georgian)
12. Shubladze G., Mgebrishvili B., Tcotckolauri F. menejmentis safuzvlebi. Tbilisi. 2008.(Georian)
13. Qoqiauri L. menejmentis safuzvlebi. Tbilisi. 2009 (Georgian)
14. Jane M. Booker. Mary M. Meyer. Elicitation end analysis of expert judgment. (Englend) <http://www.galaxy.gmu.edu>
15. “The Strategic Planning Process” (English)  
<http://www.quickmba.com/strategy/strategic-planning/>
16. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4675>
17. [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=118&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo)
18. <http://www.railway.ge/>

**Giorgi Bagaturia, Merab Tabatadze,  
Development of forecasting system for the public administration objects**

**Summary**

There is developed the system of forecasting for the objects of public administration. Forecasting is considered together with strategic planning as an organic and important part of the strategic planning and management process.

The role of forecasting in the strategic planning process and its importance is discussed in the article on the example of “Passengers’ transportation” branch of “Georgian railway” Ltd, as an object of public administration. The vision, mission and objectives of the company are formed. PESTEL and SWOT analyzes were carried out. The role and importance of Georgian Railway for the country as the strategic object is pointed out. There are given the methods of forecasting, which are desirable to use in order to stipulate the results of activity of strategic business unit of Georgian Railway and carried out recommendations for establishing of the adaptive management system related to the existing processes in the organizational environment.

There is given the combined forecasting system of the objects of public administration, which includes the quantitative and expert methods of forecasting and methodology of the estimation of the experts’ competences as a tool of experts’ selecting.

**Keywords:** Object of public administration; The Branch “Passenger Transportation”; Mission; Objectives; Strategy; Forecasting; Organizational Environment; Working Environment; Tariff Policy; SWOT– Analysis; PESTEL– Analysis; Monitoring; Combined Forecasting Method; System Analysis; Gross domestic product (GDP); Macro-Environment; Micro- Environment, Expert’s competence.

**Reviewer:** Teimuraz Gorshkov , Academic Doctor, The adviser of “Georgian railway” Ltd

**Георгий Багатурия, Мераб Табатадзе**

**Разработка системы прогнозирования для объектов государственного управления**

### **Резюме**

Разработана система прогнозирования для объектов государственного управления. Прогнозирование рассмотрено в публикации вместе с стратегическим планированием комплексно, как неделимая часть стратегического планирования и управления.

Роль прогнозирования и его значение в процессе стратегического планирования рассмотрены на примере филиала «Перевозки пассажиров» ООО «Грузинская железная дорога», как объекта государственного управления. Сформированы стратегическое видение организации, миссия и цели, сделан PESTEL и SWOT анализ. Отмечены роль и значение Грузинской железной дороги для страны как стратегического объекта. Даны те методы прогнозирования, применение которых желательно для предсказания результатов деятельности стратегической бизнес единицы Грузинской железной дороги и разработаны предложения о формировании системы адаптивного управления по отношению текущих процессов в организационной среде.

Дана комбинированная система прогнозирования объектов государственного управления, в которой объединены количественные и экспертные методы, а также методология определения компетентности экспертов, как средство подбора эксперта.

**Ключевые Слова:** Объект государственного управления; Филиал «Пассажирские Перевозки»; Миссия; Цели; Стратегия; Прогнозирование; Организационная среда; Производственная Среда; Тарифная Политика; SWOT- Анализ; PESTEL- Анализ; мониторинг; Комбинированный метод прогнозирования; Системный анализ; Валовый внутренний продукт; Микро-Среда; Макро-Среда; Компетентность эксперта.

**Рецензент:** Теймураз Горшков, академический доктор, консультант ООО «Грузинская Железная Дорога»

## ინგა წერეთელი დირექტულება და მისი ობიექტურობის პრობლემა

დირექტულებას ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული იკვლევდნენ (პლატონი, არისტოტელები...), მაგრამ მისი მეცნიერული ცნება პირველად ჩამოაყალიბა რედოლუ პერმან ლოტცემ, ხოლო უშუალოდ კულტუროლოგიაში მისი დამკვიდრება დაკავშირებულია ვინდელბანდისა და რიკერტის სახელებთან. დღეისათვის სხვადასხვა პუმანიტარული მეცნიერება განიხილავს დირექტულებას, თითოეული მათგანი თავისი კუთხით: აქისოლოგია – დირექტულების რაობის საკითხს იკვლევს, ეთიკა – ზნეობრივ დირექტულებას, ესთეტიკა – ესთეტიკურს და ა. შ., მაგრამ კულტუროლოგიაში დირექტულება განიხილება, როგორც კულტურის მაკრნსტრუირებელი ძალა. მრავალი მეცნიერებარი კულტურის არსე მის დირექტულებით ორიენტაციაში ხედავს და კულტურას განიხილავთ, როგორც განხორციელებულ დირექტულებათა სისტემას. და მართლაც, კულტურას მჭიდრო კაგშირი აქვს დირექტულებასთან. ადამიანს რომ არ ჰქონდეს დირექტულებითი ორიენტაციის უნარი, არ იარსებებდა საერთოდ კულტურა.

დირექტულების რაობის დადგენას ცდილობენ ადამიანის შემცნებითი და შეფასებითი მოღვაწეობების ურთიერთშედარების გზით.

პირველ რიგში, საგნის დირექტულება ობიექტის ესთეტიკური შეფასებისას დგინდება. ჩვენ ეს სამყარო გრძნობად-ადგმად სინამდვილედ გვეძლევა და მას განვიცდით მოვლენათა სამყაროს სახით, მაგრამ ჩვენ ამ სამყაროში გრძნობადობის იქით რაღაც მეტის და უფრო სიღრმისეულის დანახვა გვხერს. გრძნობად ხედვაში მოვლენათა განცდა გვაქვს, მეცნიერულ ხედვაში კი – მოვლენის მეცნიერული ცოდნა. შემცნების სურვილი ადამიანის საგნებთან თანაარსებობის აუცილებლობით არის გამოწვეული. ადამიანს სურვილი აქვს გაიგოს უფრო მეტი და შეიმუცნოს საგნი. ადამიანის ეს შემცნებითი მოღვაწეობა თეორიული მოღვაწეობაა, ცნობიერებას კი, რომელიც ახორციელებს ამ მოღვაწეობას, თეორიული ცნობიერება, ან თეორიული სუბიექტი ეწოდება. თეორიულ მოღვაწეობაში ადამიანი ცდილობს სინამდვილე ასახოს ისე, როგორც ის არსებობს თავისთავად, ანუ ობიექტურად. ობიექტურობა მეცნიერული აზროვნების მთავარი პრინციპია და მეცნიერების მიზანია სინამდვილის ჭეშმარიტებაში, ანუ ობიექტურ აზრში, გამოხატვა. მეცნიერულ აზრში ასახულია საგნის ის ნიშან-თვისებები, რომლებიც მათ ობიექტურად, ანუ თავისთავად, მიეწერებათ, მაგრამ ჩვენი სულიერი ცხოვრება მხოლოდ მეცნიერულ

ხედვაზე რომ დაიყვანებოდეს, მაშინ იგი დაკარგავდა ყოველგვარ მიმზიდველობას.

ადამიანი ორბუნებოვანია: მატერიალური, ანუ სხეულებრივი არსება და მეორე მხრივ,—სულიერი, გრიქერი და მოაზროვნე არსებაა. შესაბამისად, ორგვარი მოთხოვნილებანი აქვს: მატერიალური და სულიერი. ადამიანს არ აკმაყოფილებს სამყარო ისეთი, როგორიც არის და თავისი შრომით ასხვაფერებს მას, ირგებს საკუთარი მოთხოვნილებების მიხედვით. მისთვის ის წარმოადგენს ღირებულებას, რასაც მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლია (მატერიალური კულტურა). სულიერ მოთხოვნილებებს მიეკუთვნება ესოებიყური და ეთიკური ღირებულებანი. ადამიანს რომ ღირებულებითი ცნობიერება არ პქონდეს, ცხოველს დაგმსგავსებოდა და კულტურას ვერ შექმნიდა; ვერც მატერიალურს და ვერც სულიერს. იგი ქმნის არა მარტო საკუთარი საჭიროებისათვის, არამედ სხვებისთვისაც — მთელი სამყაროსთვის. აქედან გამომდინარე, ღირებულებებიც ორგვარიაა: მატერიალური და სულიერი.

ადამიანის ცხოვრება ხომ ინტერესების ასპარეზის არენაა, სწორედ ინტერესები ამოძრავებენ ჩვენს ცხოვრებას და აძლევენ მას ადამიანურ სახეს. ობიექტური ხედვის გვერდით საჭიროა სუბიექტური ხედვაც, ანუ ცველაფერს უნდა შევხედოთ ჩვენი სურვილებისა და ინტერესების პოზიციიდან. ადამიანს რომ აკმაყოფილებდეს მხოლოდ იმის ცოდნა ამა თუ იმ საგნის შესახებ, რაც მას თავისთავად მიეწერება, მაშინ იგი დაგმსგავსებოდა „ჭკიან რობოტს“, მაგრამ ადამიანი ხომ არა მარტო შეიმუცნებს საგანს, არამედ აფასებს კიდეც მას; შეფასებას კი ახდენს სწორედ თავისი სურვილებისა და ინტერესების პოზიციიდან. ადამიანი საგნებს განიხილავს მოწონების, ან დაწუნების, ვარგისიანობის, ან უვარგისობის, კარგის, ან ცუდის პარამეტრებით. შემეცნებაც და შეფასებაც ხორციელდება მსჯელობების ფორმით. შემეცნებითი მსჯელობა ასახავს საგნის ობიექტურ თვისებებს, შეფასება კი ეს არის ამ მოვლენაში ადამიანური განცდების არსებობა. ე. ი. შემეცნება ყოფილა ადამიანის სულიერ-თეორიული მოღვაწეობა, ხოლო შეფასება — სულიერ-პრაქტიკული. შემეცნების რეზულტატი საგნის შესახებ მეცნიერული ცოდნის დადგენაა, შეფასებით აქტში კი დგინდება სწორედ საგნის ღირებულება. შეფასების აქტი არის ადამიანის ღირებულებითი მიმართება საგანთან. აქ უკვე საკითხი დგება იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს და რა ფასეულობა აქს ამა თუ იმ საგანს ადამიანისათვის. ცნობიერებას, რომელიც ახორციელებს შეფასებით მოღვაწეობას, ღირებულებითი

ცნობიერება, დირებულებითი სუბიექტი ეწოდება. თეორიულიც და დირებულებითი ცნობიერება ერთი და იმავე ადამიანის ერთი და იგივე ცნობიერება.

არ არსებობს უსაგნო ცოდნა, ცოდნა ყოველთვის რაღაცის ცოდნაა და ეს არის ცოდნის საგანი, ამავე დროს, ცოდნა ვიდაცის ცოდნაა და ის ცოდნის სუბიექტია. მსგავსი სიტუაცია შეფასების აქტშიც: არ არსებობს უსაგნო დირებულება; იგი ყოველთვის რაღაცის დირებულებაა, საგნის გარეშე წმინდა სახის დირებულების არსებობა შეუძლებელია; ამავე დროს დირებულება ყოველთვის ვიდაცის დირებულებაა, ანუ თუ არსებობს დირებულება, არსებობს საგანი, რომელსაც იგი მიეწერება და ასევე არსებობს სუბიექტი, რომლისთვისაც აღნიშნული საგანი დირებულებას წარმოადგენს. მართალია, დირებულება თავისთავად საგნისა და სუბიექტის გარეშე არ არსებობს, მაგრამ არც ერთს მიეწერება და არც მეორეს. საგანში მისი ობიექტური ნიშან-თვისებებია, ხოლო სუბიექტში – მისი სუბიექტური ინტერესები; მათ მიმართებაში კი აღიმართობა დირებულება. დირებულებითი ცნობიერება შემფასებული ცნობიერებაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშავს, რომ შეფასება იგივე დირებულებაა, შეფასება დირებულების დადგენაა და არა თვითონ დირებულება. როგორც აღნიშნავენ, მოწონება და დაწუნება კი არ არის დირებულება, მოწონებაში ან დაწუნებაში ჩანს დირებულება.

შეფასებას თუ იმთავითვე ერთი გადაწყვეტა ექნება, მაშინ იგი ყოველგვარ აზრს დაპარგავს. შეფასებისას, სულ ცოტა, ორნაირი გადაწყვეტა მაინც უნდა გვქონდეს: დადგითი ან უარყოფითი. აქედან გამომდინარე, დირებულებებიც ძირითადად ორნაირია: დადებითი ან უარყოფითი. რა თქმა უნდა, მცდარი იქნება თუ დირებულების ფორმად მხოლოდ დადებით დირებულებას მივიჩნივთ. დირებულებას ხომ შეფასებით აქტში ვადგენთ, ამიტომ უარყოფითი შეფასებაც შეფასებაა. მის შედეგად კი უარყოფითი დირებულება დგინდება. მაგრამ მაინც არის ერთი მოქნეტი, როცა დადებით დირებულებებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა ენიჭებათ. გულტუროლოგიში ში დირებულების გვერდით გამოიყენება ისეთი ცნებები, როგორიცაა: „დირებული“ და „ფასეულობა“. ისინი იმ საგნების აღმნიშვნელი არიან, რომლებსაც შეფასებით აქტში დადებითი დირებულება მიეწერებათ, ე. ი. ფასეულობა ის საგანია, რომელიც დადებითი დირებულებით შემოდის აღამიანურ სამყაროში და ფორმდება კულტურის ფერმენტი. დადებითიც და უარყოფითი დირებულებებიც, თავის მხრივ, იყოფიან სიმაღლე-სიმდაბლის მიხედვით. მაგალითად: ლამაზი – ულამაზესი და ა. შ. ერთმანეთის მიმართ დირებულებების

ასეთ განლაგებას მათ რანგობრივ წესრიგს, ან დირებულებით შეადას უწოდებენ.

კულტუროლოგიაში ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა დირებულების ობიექტურობის საკითხი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამოდის, რომ დირებულება სუბიექტური მოვლენაა, რადგან დირებულება შეფასებისას დგინდება, ხოლო შეფასებას ადამიანი ახორციელებს თავისი სუბიექტური ინტერესებიდან გამომდინარე. მაშინ როგორდაა შესაძლებელი მისი ობიექტურობის დასაბუთება? მაგრამ თუ დადასტურდა, რომ დირებულება სუბიექტური მოვლენაა, მაშინ ყველა დირებულება თანაბარი მნიშვნელობის იქნება და მოხდება მათი გათანაბრება, მოიშლება რანგობრივი განლაგება, რაც საბოლოოდ გაფორმდება ქაოსისა და ნიჰილიზმის სახით. იმისათვის, რომ ეს ასე არ მოხდეს და კულტურის სამყარო ჩვენ წინაშე წარდგეს პარმონიულ მთლიანობად, სადაც იფუნქციებენ კრიტერიუმები და გაბატონდება პუმანიზებული წესრიგი, საჭიროა იგი დაფუძნებული იყოს დირებულებათა ობიექტურობაზე. რაში მდგომარეობს დირებულების ობიექტურობის საკითხის პრობლემურობა? დირებულება რომ სუბიექტური ხასიათის იყოს, მაშინ მას საბოლოოდ ქაოსამდე და ნიჰილიზმამდე უნდა მივყავდეთ, მაგრამ ის ფაქტი რომ კულტურა არსებობს როგორც მთლიანი და პარმონიული, მის ობიექტურობაზე მიუთითობს.

საქმე ის გახსენავთ, რომ დირებულების სუბიექტურობა ფარდობითია. დირებულება ხომ არ არის თავისთავად არსებული რეალური მოვლენა, იგი არ არსებობს დამოუკიდებლად, მისი არსებობა ადამიანის არსებობასთან არის დაკავშირებული. ასევე დირებულების სუბიექტურობას არ აქვს აუცილებლობის ხასიათი, ანუ ის, რაც მოსაწონი და მისაღებია ერთისთვის, სულაც არ არის სავალდებულო, მოსაწონი და მისაღები იყოს მეორისთვისაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დირებულების დადგენა შეფასების შედეგად ხდება, შეფასებას კი კონკრეტული ადამიანი ახორციელებს, ამიტომ დირებულება მხოლოდ მისთვის მნიშვნელობს. დირებულების სუბიექტურობის აღიარება ნიშნავს იმის მტკიცებას, რომ იგი ყოველგვარ ობიექტურ საფუძველს არის მოკლებული. ამ მიმართულების წარმომადგენლები (რასევლი, კარხაპი, რაინენბახი, ოგდეხი და სხვები) არგუმენტად იმას იშველიებენ, რომ დირებულებითი მსჯელობა არაშემოწმებადია და მისი აუცილებლობისა და ობიექტურობის მტკიცება შეუძლებელია. ამ მოსაზრებას დაუპირისპირდა თვალსაზრისით, რომელიც შეეცადა დაესაბუთებინა დირებულების ობიექტურობა. არსებობს ამ დასაბუთების რამდენიმე თვალსაზრისით. ერთ-ერთი თვალსაზრისის

მიხედვით, დირებულება უფრო ნატურალისტური ხასიათისაა, იგი განიხილავს დირებულებას ბუნების საგნების ბუნებრივ თვისებად. მაგალითად, ლიერდის მტკიცებით ბუნება ისევე ფლობს სილამაზეს, როგორც ფერს ან ბგერას, რომ დირებულება ისეთივე თვისებაა საგნისა, როგორც, მაგალითად, წითელი ფერი ალუბლისათვის. ამ თვალსაზრისის მიხედვით, მშვენიერება, როგორც დირებულება, ისევე არსებობს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ სინამდვილეში, როგორც ბუნების საგნების ნებისმიერი მატერიალური თვისება. მაგრამ, როგორც ცნობილია, დირებულება არ არსებობს თავისთავად, საგანთან მიმართებისა და შეფასების გარეშე. აქედან გამომდინარე, ეს თვალსაზრისი მიუღებელია. რიკერტი ამტკიცებდა, რომ დირებულება არც არსებობს და არც არ არსებობს; იგი მნიშვნელობს და მეტი არაფერი. დირებულებას ვიდაცისთვის აქვს მნიშვნელობა. ამისათვის კი მისი არსებობა აუცილებელი არ არის. ეს თვალსაზრისიც მცდარია, რადგან არაფერი არ შეიძლება მნიშვნელობდეს, თუ არ არსებობს. მართალია, დირებულება არ არსებობს ფიზიკურ სამყაროში, მაგრამ არსებობს იდეალურად. განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობენ სხვა მკაფეებისათვის. პარტმანი, შელერი, მური და სხვები. ისინი თვლიან, რომ დირებულება არ არის ბუნების საგნების ბუნებრივი ნიშანი ან თვისება, თავისთავად დირებულებას რეალური არსებობა არ გააჩნია, იგი მხოლოდ დირებულებითი ცნობიერებისთვის მნიშვნელობს, მაგრამ ეს თვალსაზრისიც მცდარია, რადგან დირებულების ობიექტურობის საფუძვლებს დირებულებითი ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებობაში ექვებს. მაშინ როგორ გადავწყვიტოთ დირებულების ობიექტურობის პრობლემა? სუბიექტურობა ობიექტურობის საპირისპირო ცნებაა. დირებულება შეიძლება იყოს სუბიექტურიც და ობიექტურიც, მაგრამ „სუბიექტური დირებულება“ წინააღმდეგობრივი ცნებაა. სიტყვა „სუბიექტური“ აუქმებს „დირებულებას“; სუბიექტური დირებულება ანტიდირებულებაა. ამიტომ დირებულება მხოლოდ ობიექტურობის საფუძველზე არსებობს. დირებულების ობიექტური საფუძვლის არსებობას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ხშირად ერთი და იგივე ნივთი ან მოვლენა ადამიანთა უმრავლესობის დადებით ან უარყოფით შეფასებას იმსახურებს. შემცნების თეორიაში ჭეშმარიტების შეფასებისას ადამიანთა სიმრავლეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება ათასი კაცი ცდებოდეს და ერთი იყოს მართალი, მაგრამ აქსიოლოგიაში – პირიქით. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენი ადამიანი აღიარებს რაიმეს დირებულებას. ობიექტურობა უნდა გავიგოთ საყოველთაობისა და

აუცილებლობის ნიშნით. ღირებულების ობიექტურობაც მის საყოველთაობასა და აუცილებლობაში მდგომარეობს, მაგრამ აქ უპერ ჩნდება კითხვა: „სადაა ყველასთვის თანაბრად მისაღები ღირებულებანი, ანუ აბსოლუტური ღირებულებანი?“ ადამიანები ცხოვრობენ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერი ქმნადობის, მოძრაობა-ცვალებადობის პროცესში იმყოფება. ყველაფერი წარმოიშობა და ისპობა, ანუ არაფერი არ არის მარადიული. სამყაროში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, არაფერი არ არის უპირობო, ანუ აბსოლუტური. არც არაფერი არ არსებობს ისეთი, რასაც აბსოლუტური ღირებულება ექნება. მაშინ რა არის ღირებულებით ცნობიერებაში ისეთი, რაც არც მხოლოდ რელატიურია და არც აბსოლუტური, არამედ ორივე მათგანის სინთეზს ქმნის და გარდაქმნილი სახით არსებობს. ასეთია იდეალი, რომელიც ღირებულებითი ცნობიერების საფუძველია და ადამიანის ღირებულებითი ორიენტაციების არსებობას განაპირობებს. ადამიანთა ღირებულებითი ცნობიერება სწორედ იმიტომად განსხვავებული, რომ განსხვავებულია მათი იდეალები. იდეალი არის ის, რაც ყველაზე ძვირფასია, ყველაზე სრულმნილია, რაც ჩვენი ოცნების საგანია და ხშირად მიზანსაც კი წარმოადგენს. იდეალის თავისებურება ის არის, რომ იგი ნორმაა, საზომი, კრიტერიუმი, რომლის მიხედვით ღირებულებათა შეკალა განლაგდება.

ღირებულებანი რომ აბსოლუტური ხასიათის ყოფილიყო, მაშინ ადარც მრავალფეროვანი კულტურები იარსებებდა. მოდიოთ, მაშინ საკითხი ასე დაგსვათ: „რა პირობებში შეიძლება ღირებულებამ შეიძინოს საყოველთაობა ანუ აუცილებლობა, ე. ი. ობიექტურობა?“ რაკი ღირებულება მთლიანად ღირებულებითი ცნობიერებით არის განპირობებული, ამიტომ ღირებულების ობიექტურობის წყარო ღირებულებითი ცნობიერება უნდა იყოს, ე. ი. ღირებულების ობიექტურობა ღირებულებითი ცნობიერების, ანუ სუბიექტის ობიექტურობითა განპირობებული. ადამიანი, როგორც ღირებულებითი ცნობიერება, როგორც სუბიექტი, შეიძლება განვიხილოთ ორი სახით: როგორც სუბიექტური სუბიექტი და როგორც ობიექტური სუბიექტი. სუბიექტურ სუბიექტში იგულისხმება ინდივიდუალური ადამიანი-თავის ვიწრო ფსიქო-ბიოლოგიურ ჩარჩოებში. ამგვარი ადამიანი ვერაფრით იქნება კულტურის ვერც შემოქმედი და ვერც გამომყენებელი. კულტურის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ობიექტური სუბიექტი, ანუ ადამიანი, რომელიც გასცდა თავის ფსიქო-ბიოლოგიურ ჩარჩოებს და მაღლდება პიროვნების დონეზე, იძენს ინდივიდუალურობას, ტიპიურობასა და თავისუფლებას და ხდება კულტურის სუბიექტი. პიროვნება არის ის,

ვისაც აქვს საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული დირებულებითი ორიენტაციები. ვინც უბრალოდ კი არ ითვისებს სხვის დირებულებებს, არამედ კრიტიკულად უურებს მათ, სხვაში არ არის გათქვევილი. თუ მისი წარმოდგენები ობიექტურ სინამდვილეს შეესაბამება, ხომ კარგი, თუ არა და ამით იგი პიროვნულობას მაინც არ კარგავს. ესაა სიმაღლე, როცა ადამიანს შეუძლია სიტუაციასა და საკუთარ თავზე მაღლა დგომა, ანუ როცა ადამიანი საკუთარ ინტერესებსა და სურვილებზე მაღლა აყენებს სხვის ინტერესებსა და სურვილებს. კაცობრიობას მხოლოდ ერთი ადამიანის სახით რომ ეარსება, არავითარი კულტურა არ გაჩნდებოდა. კულტურა ადამიანების, ცალკეული სუბიექტების თანაარსებობის წესია. ერთ საზოგადოებაში მრავალი ინდივიდის თანაცხოვრება, მათი პიროვნული დირებულებების თანაარსებობის მაუწყებელია. ინდივიდების პიროვნული დირებულებების თანაარსებობა შესაძლებელია მათი ურთიერთშერწყმის, შეჯერების გზით, რის შედეგადაც ყალიბდება პიროვნული დირებულებების რადაც საშუალო ტოლქმედი, რომელსაც უკვე პიროვნული კი არა, ეროვნული, ან საკაცობრიო დირებულება დაერქმევა და ობიექტური მნიშვნელობის იქნება.

ურველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დირებულებების ობიექტივაციის პროცესი სხვა არაფერია, თუ არა პიროვნული დირებულებების ეროვნულ და საკაცობრიო დირებულებებად ტრანსფორმაციის პროცესი. როდესაც დირებულებანი ობიექტური ხდებან, ისინი კანონის სახით გვევლინებიან და ნორმატიულობის ძალას იძენენ.

## ლიტერატურა

### Reference:

1. a. ZamaSvili, l. Ggvasalia, v. Wiaureli, kulturologia, teqnikuri universiteti, Tbilisi 2004.
2. Mm. mamardaSvili, saubrebi filosofiazee, “mecniereba” Tbilisi 1992.
3. g. SuSanaSvili, Rirebuleba da sazogadoebriwi cnobierebis formebi, Tbilisi 1990.
4. Чавчавадзе Н.Э Культура и ценности. «Мецниереба», Тбилиси, 1984.

Inga Tsereteli

## Value and the problem of its objectivity

### Summary

In the following article is discussed one of the most important cultural categories - Value. The main object of author's interest is the relationship between the value and valuation. To her mind the value is formed by the relation of subject and object. The thing is, how we understand this relativity. This is essential, as the definition of value depends on it. ( is the value subjective or objective)

And really, not everything is subjective in subject itself and in its relation. Subject is presented by the human personality but not everything is subjective in it or depended only on thought and will.

In author's opinion, a person can freely become an objective subject.

**Keywords:** value, thought, corporeality, spirituality, valuation, cognition, objectivity, subjectivity, harmony, wholeness, humanism, order, absoluteness, relativity, normative, law.

**Reviewer:** Professor Lali Gvasalia, Ilia State University

Инга Церетели

## Ценностъ и проблема ѝ обективности

### Резюме

В статье рассматривается одна из важнейших культурологических категорий – ценность. Основной объект авторского интереса, это взаимоотношение между ценностью и оценкой. По её мнению, ценность формируется на основе взаимодействия субъекта с объектом; главное – в каком смысле мы понимаем их взаимоотношения. Это существенное, поскольку от этого зависит определение ценности (она – эта ценность, субъективная, или объективная).

Субъектом является личность человека, однако в нём не всё является субъективным, т.е независимым от его мышления и воли. По мнению автора, личность свободно может стать именно объективным субъектом.

**Ключевые Слова:** ценность, аксиология, мышление, телесность, духовность, оценка, познание, объективность, убъективность, гармония, цельность, гуманизм, порядок, абсолютность, относительность, нормативность, закон.

**Рецензент:** профессор Лали Гиасалиа, Государственный Университет Ильи

# ი ს ტ რ ი პ

გირები ალაზანიშვილი

ბერიოლიტიკური ინტერესების ცოდნის ევოლუცია ქართულ  
კოლიტიკურ აზოვნებაში

ქართველებს ძალიან უკირთ, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები ბევრად უყრო იოლად დაუძრნენ რუსეთს და ამას ბალტიისპირელთა სიბრძნეს მიაწერენ, ხოლო ჩვენს თავს დატეხილ უბედურებებს კი ჩვენს უჭირობას. არადა სინმადვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა. ამის მიზეზი კავკასიისა და კერძოდ საქართველოს, როგორც კავკასიის გასაღების, გეოპოლიტიკურ მდებარეობაშია. მიზეზები დღესაც თითქმის ისეთივეა, რაც მურვან ყრუს, თემურ ლეგინისა და ირანის შაჟების სისახტის მიზეზი იყო. მათვის საქართველო, როგორც კავკასიონზე გადმოსახვლელების მფლობელი, მნიშვნელოვანი იყო გეოპოლიტიკურად. პირველს უნდოდა ჩრდილოელი მომთაბარეებისაგან დაეცვა არაბთა იმპერია და ჩაეკერა კავკასიონი, მეორეს ჩრდილოეთით მდებარე ოქროს ურდოს ფანის თავდასხმისაგან დაეცვა თავისი იმპერია [1], ხოლო მესამეს კი რესეთის სამხრეთისაკენ მოსალოდნელი ექსპანსიისაგან. სამიე ცდილობდა კავკასიონზე გადმოსახვლელები გაეკონტროლებინა, რომ თავი დაცულად ეგრძნოთ. დღევანდელი სიტუაციაც გარკვეულად ჰგავს ზემოთ აღნიშნულს. მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ამერიკლმა გეოპოლიტიკოსებმა მეცნენა (აშშ-ს საზღვაო ძალების ოფიცერი, მას ეკუთვნის საინტერესო მოსაზრება, რომ ვაჭრობა პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რაც კარგი გასაღებია თავისუფალი ვაჭრობის მომხრე ქვეყნების პოლიტიკის სწორად გასაგებად) და მაკაინდერმა (განათლებით გეოგრაფმა) დაამუშავეს გეოპოლიტიკური თეორიები, რომლის მიხედვითაც მსოფლიოზე ბატონობის მოსაპოვებლად აუცილებელია ეპრაზის კონტინენტის სანაპირო ზონებზე კონტროლის განხორციელება, რათა ხელი შეეშალოს რუსეთის ოკეანეში გასვლას და საზღვაო სივრცე მთლიანად აშშ-ს დარჩეს. ამ გეგმას „ანაკონდას“ სახელი ეწოდა, რადაგანაც გულისხმობდა რუსეთის გარშემო აშშ-ს მოკავშირე ქვეყნების რკალის შემორტყმას და თანდათან შევიწროებას. შემდეგში მას შეკავების დოქტრინა (იგულისხმება რუსეთის შეკავება) დაარქვეს. (დაინტერესებული ქართველი მკითხველისათვის ამ თემაზე ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი წიგნია ა. დუგინის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“, შპს „მთაწმინდელის“ 1999 წლის გამოცემა. იყიდება

ასევე რუსეთში დაბეჭდილი გამოცემაც, და 6. ნარტოვის სახელმძღვანელო „გეოპოლიტიკა”, ასევე რუსულად). თუ დავხედავთ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას, დავინახავთ, რომ რუსეთს თბილ ოკეანებში გასასვლელი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ვარგისია ნაოსნობისათვის, არსად არ აქვს. სწორედ ამ „ანაკონდას” რკალის გარდვევის მცდელობა იყო რუსეთის მხრიდან ავდანეთში შექრა, რომელიც შემდეგ პაკისტანში (ინდოეთის დახმარებით, იმ დროს რუსეთი და ინდოეთი მოკავშირებიც იყვნენ.) ექსპანსიით და ინდოეთის ოკეანეში გასასვლელის მოპოვებით უნდა დამთავრებულიყო (პაკისტანზე ინდოეთი და რუსეთი დამყარებლენენ კონტროლს). ეს იყო გეოპოლიტიკური ომი. გადამწყვეტი მნიშვნელობა არ პქონდა იმას, ავდანეთი უშუალოდ შეუერთდებოდა რუსეთს თუ არა, მთავარი იყო რუსეთის მოკავშირე ხელისუფლების დასმა ავდანეთში, რისთვისაც ხელისუფლებაში მოიფარგლენენ კომუნისტურ მთავრობას. ახლა, როცა რუსეთს თბილი ზღვებისაკენ გასასვლელი კიდევ უფრო შეზღუდული აქვს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამხრეთის, ირანის მიმართულებას. როგორც ცნობილია, ირანში ანტიამერიკული ხელისუფლებაა და რუსეთი მას თავის მოკავშირედ განიხილავს. შავ ზღვას არ აქვს არსებითი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, რადგანაც ჯერ ერთი ბოსფორის სრუტეს პროამერიკული თურქეთი აკონტრლოებს და შემდეგ, სანამ შავი ზღვიდან ოკეანეში გახვალ, კიდევ ხმელთაშუა ზღვა არის გასასვლელი. ასე რომ ყველაზე სუსტი რგოლი „ანაკონდას” რკალში სწორედ ირანის მიმართულებაა, რომელიც რადაც არ უნდა დაუჯდეს რუსეთს, უნდა გაარღვიოს, თუ უნდა, რომ იარსებოს როგორც მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფომ, რომლის გარეშეც რუსებს თავიანთი ეროვნებაც კი არ წარმოუდგენიათ. როგორც ადუგინი წერს, დიდი სახელმწიფოს გარეშე რუსები ეროვნულობას დაკარგავენ. ერთი სიტყვით, მათვის მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფოს არსებობა რუსად ყოფნა არყოფნის საკითხია.

ზემოთ ნათქვამიდან ვხედავთ, თუ რატომ იმენს ასეთ გადიზიანებას ქართველების ნატოსაკენ ლტოლვა რუსებში. მაგრამ „ანაკონდას” რკალი არაფერია იმასთან შედარებით, რა უბედურებაც სინამდვილეში რუსეთს საქართველოს ნატოში გაწევრიანებით ელოდება. ამ საფრთხეზე რუსული გეოპოლიტიკური სახელმძღვანელობი შიშით სდეუმან (ვაი თუ მართლა აგვიხდესო).

შეა აზიის რესპუბლიკების მოსახლეობა, ტაჯიკეთის გარდა, თურქების ახლო ნათესავი ხალხებია. მართალია, თურქებს გენეტიკური კავშირი დაკარგული აქვთ სხვა თურქული ჯგუფის ხალხებთან (თურქელი ჯგუფი არის მონდოლოდური რასის

ნაწილი, ასე რომ ვიზუალურადაც სავსებით ნათლად სჩანს, რომ გენეტიკური კავშირი მონცვლობილურ რასასთან აღარ არსებოს), ადგილობრივ მოსახლეობასთან იხტენსიური ასიმილაციის გამო (იგივე ითქმის აზერბაიჯანელებზეც, რომლებმაც ადილობრივი ალბანელების ასიმილაცია მოახდინეს და გენეტიკურად ალბათ მათთან უფრო ახლოს არიან), მაგრამ ცივილიზაციურად ისინი ერთი ცივილიზაციის წევრები არიან. თურქებს ოცნებაში აქვთ დიდი პანთურქული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ყველა თურქული მოდგმის ხალხს გააერთიანებს და გადაჭიმული იქნება სმელთაშუა ზღვიდან ჩრდილო ყინულოვან რკანებმდე, იაკუტების ჩათვლით (ესენიც თურქებს ენათესავებიან). დასავლეთით ამ პანთურქული გაერთიანების საზღვრები დაახლოებით მდინარე ენისეისთან გადის.

თურქეთი აშშ-ს ყველაზე ძვირფასი მოკავშირეა, ყოველ შემთხვევაში წინა აზიაში მაინც. თურქეთის თითქმის ყველა მეზობელი, ან ანტითურქულად, ან ანტიამერიკულად არის განწყობილი (რის გამოც იგი ცუდ გეოპოლიტიკურ გარემოშია და საკამრისია აშშ ოდნავ დასუსტდეს, რომ როგორი პრობლემები შეექმნება, თუ ქურთების პრობლემასაც გავიხსნებო). იგი არის წინა აზიაში აშშ-ს დასაყრდენი (აგვე, ინჯირლიკში არის განლაგებული აშშ-ს სამხედრო ბაზა). თურქეთი ქმეზობლება ისეთ რეგიონს, როგორიცაა ნავთობით მდიდარი არაბეთის ნახევარკუნძული და სპარსეთის ყურე, რომელიც აშშ-ს სასიცოცხლო ინტერესების სფეროდაა გამოცხადებული. აქედან შეიძლება ასევე სმელთაშუაზღვისა და შავი ზღვის გაკონტროლება. ამას დაუმატეთ ისიც, რომ თურქეთს ნახევარმილიონიანი არმია ჰყავს, რითაც პირველ ადგილზეა ევროპაში და ერთერთი პირველია მსოფლიოში. სწორედ ამის გამოა, რომ აშშ-მ თვალი დახუჭა წინა საუკუნის 70-იან წლებში ბერძნული კვიპროსის ანგესიაზე და დღესაც ხუჭავს თვალს, მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთიც ნატოს წევრია.

თურქული სახელმწიფოს სმელთაშუა ზღვიდან ჩრდილო ყინულოვან რკანებმდე გადაჭიმვა გამოიწვევს მის არნახულად გაძლიერებას, რადგანაც მის ხელში აღმოჩნდება მთელი შუა აზიისა და ციმბირის უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები, ადამიანურ რესურსებთან ერთად. ამ ხალხებთან თურქებს ეროვნულ ნიადაგზე კონფლიქტი არ ექნებათ. მით უმეტეს თუ გავიხსნებო, რომ ეს ხალხები ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის დროსაც პასიურები იყვნენ და მით უმეტეს არაფერი ექნებათ თურქებთან კონსოლიდაციის საწინააღმდეგო. ასე, რომ ამ სახელმწიფოს არ ექნება შიდა წინააღდეგობები, რაც ასე ასუსტებს და ფიტავს ბევრ იმპერიას. გაძლიერებულ თურქეთს უმჯობეს

გაუჩნდება სურვილი კიდევ უფრო გაფართოვდეს და შესაძლოა შემდეგ შეტევაზეც გადავიდეს რუსეთის წინააღმდეგ. ამით მოსალოდნელია, რომ ისარგებლებს ჩინეთიც და ჩაერთვება კონფლიქტში თავისი წილის მისაღებად. რუსეთის დღვევანდელი მოქავშირებიც კი რუსების წინააღმდეგ გამოვლენ მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება არც აწყობდეთ რუსეთის დასუსტება. ისინი შეხედავნ რა, რომ რუსეთი განწირულია და რუსების მიწებს და რესურსებს სხვები ინაწილებენ და ძლიერდებიანო, შეეცდებიან თვითონაც მითვისონ რამე და თავისი ქვეყანა გააძლიერონ. ასე, რომ არ არის გამორიცხული საქართველოს არასწორმა გეოპოლიტიკურმა არჩევანმა საქმაოდ სერიოზულ კონფლიქტს მისცეს ბიძგი და რაც უფრო სამწუხაროა, შეიძლება საქართველოს ეს მისი არსებობის ფასად დაუჯდეს. თუ დიდი პანთურქული გაერთიანება არ გადაგველაპავს, რუსები ნამდვილად ცუდ დდეში ჩაგვაგდებენ, რადგანაც ზემოთ აღწერილ კოშმარს ვერაფრით დაუშვებენ, თუნდაც ამისათვის საქართველოს განადგურება დასჭირდეთ. გერმანელი ეროვნების რომის პაპის არჩევა, როგორც ჩანს, იმას უნდა მოასწავებდეს, რომ გერმანია შეეცდება ევროკავშირში თავისი პოზიციები გაამაგროს და ევროკავშირს განსამტკიცებლად ერთიანი რელიგიური საფუძველი შექმნას (გავისენოთ, რომ პოლონელი პაპის ძირითადი ძალისხმევა მსოფლიოში კომუნისტური რეჟიმების დამარცხებისაკენ იყო მიმართული. ასე, რომ რომის პაპებისათვის პოლიტიკური აქტიურობა უცხო არ არის), ამით შეეცდება ევროკავშირში მოსალოდნელი ეთნიკური დაპირისპირები შეარბილოს და ნაკლები პოპლეუმები შეიქმნას ერთიანი ცივილიზაციური საინკვლის შექმნით (ევროკავშირი ძალიან ჰგავს გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიას, რომელმაც თავის ძლიერების პის მე-16 საუკუნეში მიადგინა და რომლის ძირითადი მოსახლოებაც და იმპერატორიც გერმანელები იყვნენ). მოსალოდნელია, რომ გერმანიაში ლუთერანობის პოზიციები შესუსტდება და კათოლიკიზმის განმტკიცდება. თუკი ევროკავშირი ამ საფუძვლებზე მოახერხებს გაძლიერებას, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ იგი მსოფლიოში გაბატონებისათვის, ამერიკის კონტინენტზე მცხოვრებ კათოლიკე ესპანელებსა და პორტუგალიელებს გააქტიურებს აშშ-ს წინააღმდეგ. ამით მნიშვნელოვნად შესუსტდება აშშ-ს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური უპირატესობა, რადგანაც მას თავისესავე კონტინენტზე შეექმნება პრობლემები. რუსები, კი თავისი უმთავრესი მოწინააღმდეგის აშშ-ს წინააღმდეგ, ევროპის მოკავშირები იქნებიან. უკვე ახლა სავსებით ნათლად შეიმჩნევა გერმანიისა და რუსეთის

დაახლოება. ვინც მსოფლიო პოლიტიკას თვალს ადევნებს, შეამჩნევდა პუტინის გახშირებულ ვიზიტებს გერმანიაში. ამისკენვე მოუწოდებენ, როგორც რუსი, ასევე გერმანელი გეოპოლიტიკოსები. გარდა ამისა გერმანია და ევროპა გაზადენებით არიან რუსეთზე მიბმულნი. მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ ბრძოლა, რაც არ უნდა ძლიერი იყო, ძალიან ძნელია. ეს, სულ ცოტა, კონომიკურად დაასუსტებს და რესურსებიდან გამოფიტას ქვეყნას. ამიტომ აშშ-სათვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ძლიერი მოკავშირის მოძიება. ასეთი კი თურქეთი გახდება. მათი ინტერესები და ემთხვევა იმიტომ, რომ თურქეთს უნდა თავისი მონათვესავე ხალხებთან კავშირით გაძლიერდეს. ეს აშშ-ს ინტერესებშიც შედის, ერთის მხრივ გაძლიერდება თავისი მოკავშირე და მეორეს მხრივ, კი შესუსტდება მისი მოწინააღმდეგე რუსეთი, რითაც მნიშვნელოვნად შესუსტდება ანტიამერიკული ბლოკი. ასე, რომ აშშ თურქეთს ბევრ თავნებობას აპატიებს და ზოგჯერ წააქეზებს კიდევ. ჩვენ სულ ტყუილად გვგონია, რომ აშშ ჩვენი ქომაგი იქნება. ყოველივე ზემოთქმულიდან კიდევ უფრო ნათლად ჩანს, თუ რამდენად გადაჯაჭვულია თურქეთისა და აშშ-ს ინტერესები ერთმანეთოან.

რუსეთი საქართველოში და სომხეთში თურქეთის საზღვრებზე სამხედრო ბაზების განლაგებით აღწევდა თავისი სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრების სტრატეგიულ უსაფრთხოებას. თუ თურქეთმა თავისი გავლენა შეა აზის ერთმორწმუნე მონათვესავე ხალხზე გაავრცელა, მაშინ რუსებს მოუწევს სამხრეთის რამდენიმე ათას კილომეტრიანი საზღვრების გაძლიერებული დაცვა, რაც დამატებით ეკონომიკურ ტგირთად დააწება რუსეთის ეკონომიკას (რომ ადარაფერი ვთქათ შეა აზის რესპუბლიკებზე გავლენის დაკარგვაზე).

რუსეთისათვის საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო კონტროლი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი ვერ გარისკავს და ვერ დაუშვებს სხვა ქვეყნების კონტროლს მასზე, თუნდაც ეს ევროპაშირი იყოს. ეს იმიტომაც არ მოხდება, რომ ევროკავშირს არ აქვს რაიმე არსებითი ინტერესი საქართველოში და ამიტომ რუსეთს არ შეეცილება.

ზოგიერთებს, საქართველოში, ამ რთული ვითარებიდნ ყველაზე კარგი გამოსავალი ნეიტრალიტეტის გამოცხადება ჰგონიათ. მათ ეს ასე წარმოუდგენიათ, რომ გამოაცხადებენ ნეიტრალიტეტს და შემდეგ არავინ შეეხება (ერთგვარი „ნიჩურტასავით“) ჩვენს ქვეყნას. ეს რომ ასე მარტივად იყოს, მაშინ პატარა სახელმწიფოებს არ დასჭირდებოდათ შეიარაღებული ძალები, გამოაცხადებდნენ

ნეიტრალიტეტს („ნიტურტას აიდებდნენ“) და უზრუნველყოფნებისაკეთიარ უსაფრთხოებას.

მართალია, საერთაშორისო სამართლის მიხედვით ყველა ქვეყანა ვალდებულია პატივი სცეს ამა თუ იმ ქვეყნის ნეიტრალიტეტს, რაც შეიძლება საქართველოს უსაფრთხოების გარანტად მოგვეჩვნოს, მაგრამ საერთაშორისო სამართლის მიხედვით ქვეყნები ვალდებულები არიან, არა მარტო ნეიტრალიტეტს სცენ პატივი, არამედ ყველა ქვეყნის სუვერენიტეტს, მიუხედავად ამისა დღევანდელ მსოფლიოში სუსტი ქვეყნების სუვერენიტეტი ხშირად ირღვება.

ამა თუ იმ ქვეყნის ნეიტრალიტეტის გამოცხადებით მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი. მისმა ნეიტრალიტეტმა ამ ქვეყნებს შორის ქიშპი და დაბაბულობა უნდა შეარბილოს. ამ შემთხვევაში აღიარებენ მის ნეიტრალიტეტს და პატივს სცემენ. სწორედ მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნების მხარდაჭერის შემთხვევაში იქნება ქმედითი დეკლარირებული ნეიტრალიტეტი. მაგრამ ნეიტრალიტეტის გამოცხადება მაინც არ არის უსაფრთხოების გარანტი. მაგალითად, გერმანიამ ორჯერ დაარღვია ბელგიის ნეიტრალიტეტი 1914 და 1940 წლებში.

შეიძლება ასეთი დეზორიუნტაციის მიზეზი ის იყოს, რომ ქართულმა საზოგადოებამ იცის, რომ შვეიცარიამ ნეიტრალიტეტის გამოცხადებით მოახერხა თავიდან აეცილებინა მეორე მსოფლიო ომი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ გერმანიას მაშინ მოელმა მსოფლიომ გამოუცხადა ფინანსური და ეკონომიკური ბლოკადა. ნეიტრალიტეტის გამოცხადებით მხოლოდ შვეიცარიამ თქვა უარი ამ ბლოკადაში მონაწილეობაზე. ასე, რომ მაშინ გერმანიას აუცილებლად სჭირდებოდა მეზობლად ისეთი ქვეყანა, რომლის საშუალებითაც მოხერხდებოდა ფინანსური და ეკონომიკური ბლოკადის გარღვევა. სწორედ ამის გამო გადაურჩა შვეიცარია მეორე მსოფლიო ომს და არა უბრალოდ ნეიტრალიტეტის დაბლარირებით.

## ლიტერატურა

### Reference:

1. meufe anania jafariZe. saqarTvelos dedaeklesia. saymawilo sakiTxavi tomi me-12, gv142, 149
2. a.bucxrikiZe. geopolitika da samxreT kavkasiis usafrTxoebis problemebi, statia 23 marti. 2009 w. www. jaoscorner.org
3. Дергачев В.А. Геополитика. Учебник для вузов. М.:ЮНИТИ-ДАНА, 2004. -526 стр.

4. Гаджиев К.С. Геополитика кавказа. Москва, 2000
5. В.В. Чернаус. Кавказ контактная зона культур и цивилизации, сб.: Кавказский регион. [www.jaoscorner.org](http://www.jaoscorner.org)
6. Шопенгауэр А. Размышления о государстве, политике и праве (фрагменты Сочинений) Собр.соч. в 4-х томах. Т.2. 673 с.
7. Ратцель Ф. Политическая География. Изд. «Слово», 1996 стр. 22-28.
8. Шопенгауэр А. Собр.соч. в 5-ти томах. Т.1. Мир как воля и представление. т.1 / Сост., авт. вступ. ст. и примеч. А.А.Чанышева. Пер. с нем.
9. Ю.И.Айхенвальда под ред. Ю.Н.Попова. М: Московский клуб, 1992. 395 с.

**Giorgi Aladashvili**

**The evolution of knowledge about the geopolitical interests in Georgia's political thought**

### **Summary**

Each country has the geostrategic which is defined by geopolitical interests. By geopolitical interests, geopolitical power and strategy working out is defined. Some governments with excessive ambitions build the strategy to the detriment of vital interests of other countries and people. The traditionally basic geopolitical factors are: strategic value of territories, ability of a society / the countries and the population to self-perception (a demographic reality).

From the basic criteria of geopolitical power of the country are considered: strategic territory, an outlet to the sea, natural resources (a stock of a mineral-source of raw materials, fresh water), financial stability, an economy and technology level of development, political stability, level of social integration, ethnic uniformity, quantity of the population and national consciousness.

As the territory of Georgia to be on a difficult geopolitical field, the knowledge of geopolitics and comprehension of a role of the Georgian state in the modern world of its citizens is the main criteria of development of the Georgian statehood on theater of world geopolitical processes

**Keywords:** Geostrategic, geopolitical interests, the geopolitical power, the state.

**Reviewer:** Professor Otar Kochoradze , Georgian Technical University

**Георгий Аладашвили**

**Эволюция знаний о геополитических интересах в грузинской политической мысли**

### **Резюме**

Каждая страна имеет свою геостратегию, которая определяется геополитическими интересами. По геополитическим интересам определяется геополитическая мощь и разработка стратегии. Некоторые правительства с чрезмерными амбициями строят свою стратегию в ущерб жизненным интересам других стран и людей. Традиционно основными геополитическими факторами являются: стратегическая ценность территорий, способность общества / страны и населения к самовосприятию (демографическая данность). Из основных критериев геополитической мощи страны рассматриваются: стратегическая территория, выход к морю, природные ресурсы (запас минерально-сырьевых ресурсов, пресной воды), финансовая устойчивость, уровень развития экономики и технологии, политическая стабильность, уровень социальной интеграции, этническая однородность, количество населения и национальное самосознание.

Поскольку территория Грузии находится на сложном геополитическом поле, знание геополитики и осознание роли грузинского государства в современном мире ее гражданами является ключевым критерием развития грузинской государственности на театре мировых геополитических процессов.

**Ключевые слова:** Геостратегия, геополитические интересы, геополитическая мощь, государство.

**Рецензент:** Профессор Отар Кочорадзе. Грузинский технический университет

# მ ა რ ბ ი მ ა რ ბ ი ძ ა

## თემა საჩივა ეპონომიკური გლობალიზაცია

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, ზესახელმწიფოების ჩამოყალიბებამ, ძალთა გადანაწილებამ და ლიდერობისათვის ბრძოლამ, ეკონომიკური ბერკეტების ხელში ჩაგდებამ, ბუნებრივად წარმოშვა ეკონომიკური კონფლიქტი სახელმწიფოთა შორის, ლიდერ სახელმწიფოთა ეკონომიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დიპლომატია, რომელიც კონკურენტუნარიან პირობებში კონფლიქტის წარმოშობის დარგულირებას უწყობს ხელს [1].

ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვანად დაგავშირებული ბიზნესის, ეკონომიკის, ვაჭრობის და ფინანსების საკითხებთან. როდესაც ესა თუ ის ქვეყანა ოღწევს ლიდერობას ეკონომიკაში, ის ხდება დომინანტი მსოფლიოში. მნიშვნელოვანია იმ საკითხის განსაზღვრაც, თუ რამდენად ემთხვევა პოლიტიკურ საზღვრებს ეკონომიკური საზღვრები.

შესაძლებელია დაგსვათ კითხვა: რამდენად მნიშვნელოვანია ტერიტორიული ფართობი ეკონომიკურ განვითარებაზე და რა გავლენა შეუძლია მოახდინოს მან? თუ აშშ, იაპონიის, რუსეთის, ჩინეთის მაგალითებს გადავავლებოთ თვალს, დასტურდება რომ ეკონომიკურ წინსელის ხელს უწყობს ტერიტორიული ფართობი, რაც ბუნებრივია გულისხმობს არა აუთვისებელ და უსარგებლო ტერიტორიას, არამედ ბუნებრივი რესურსებით მდიდარს. ასევე ვაჭრობისა და ფინანსების ბრუნვადობა მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად დიდია. რა შეიძლება ითქვას ამ შემთხვევაში სინგაპურსა და დუბაიზე, ეს არის ნაგორის დიდი ექსპორტიორი ქვეყანა, სადაც მსოფლიო ეკონომიკა იყრის თავს, გარდა ამისა მასზე ბუნებრივადა მიჯაჭული ტურისტული გარემო.

ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფომ აწარმოოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები. მისი გავლენა მყარია მსოფლიოზე, ამის საფუძველი ის საერთაშორისო თუ ადგილობრივი ეკონომიკური ორგანიზაციებია, რომელსაც წამყვანი როლი უჭრავს მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობები. ეკონომიკური ურთიერთობები განაპირობებს საგარეო ურთიერთობებს. მსოფლიო ლიდერი ეკონომიკაში ამერიკის შეერთებული შტატებია, ის ახდენს წვრილ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების დარეგულირებას. მას ხელთ აქვს სავაჭრო, საფინანსო პოლიტიკის კონტროლი. აშშ ეკონომიკური

ექსპანსია მთელ მსოფლიოზე ვრცელდება. გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, იაპონია მას კვლდაკვალ მიჰყვებიან. პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში უკვე იწყებენ იმაზე საუბარს თუ რა როლი შეიძლება მიეკუთვნოს ამ საერთო საქმეში ჩინეთსა და ინდოეთს.

სახელმწიფოებში ეკონომიკური კონკურენცია ზრდის კონფლიქტის წარმოშობის საკითხს. ენერგო რესურსები, სურსათი - მათი ხელში ჩაგდება და ლობირება გახდა ამ საუკუნის მთავარი საზრუნვავი ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის. თუკი შეა საუკუნეებში: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, საქართველო სამეცნ გვარების ქორწინებით ცდილობდა დომინანტის სტატუსისათვის ბრძოლას და მის შენარჩუნებას, უფრო აღრე კი ამ საკითხის მოგვარებაში ეკლესიაც ერთვებოდა, დღეს ეკონომიკა ახდენს ურთიერთობების დარგებულირებას.

საკითხის რაობისათვის მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ორ მნიშვნელოვან ტერმინს შორის მიმართება: ეკონომიკური გლობალიზაცია თუ ეკონომიკური უნივერსალიზაცია. „უნივერსალიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ჩვენი პლანეტა საერთო სივრცედ იქცა, ხოლო გლობალიზაცია გულისხმობს ეველა არსებული ურთიერთდამოკიდებულების ერთმანეთში შეზრდას“<sup>[1]</sup> ეკონომიკის გლობალიზაცია იწვევს კულტურის, ფასეულობების, დირებულებების ცვლილებებს, რასაც ბუნებრივად მივყაროთ კონფლიქტებამდე. ეკონომიკური ლიდერობის მოპოვებისათვის კარგად შემუშავებული ზეწოლის პრიციპი ხორციელდება. ზეწოლის საშუალებებს მიმართავენ რომ მოწინააღმდეგე ქვეყნის ეკონომიკა დასუსტონ და ამით შესაძლებელი გახდეს მისი ხელში ჩაგდება. რთულია ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის საზღვრების გავლება. პოლიტიკა განსაზღვრავს ეკონომიკას და პირუკუ ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკას.

ეკონომიკა არ არის მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობები სახელმწიფოთა შორის. ის ერთგარი პოლიტიკური კურსია, რომელსაც ატარებს სახელმწიფო და არანაკლებ საშიში როგორც სამსედრო ძალა. დღეს მსოფლიოში შეიცვალა ურთიერთობების სტრატეგია და სამსედროს ნაცვლად ეკონომიკურ ძალთა თანაფარდობაში გადაიზარდა.

ეკონომიკურ კონფლიქტს ასევე ეკონომიკური სარგებლის არ მიღება ან მისთვის საშიშროების შექმნა იწვევს. სწორედ ამიტომაა სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდეს ეკონომიკურ კრიზისში.

დღეს პოლიტიკურ რეალობაში გაჩნდა ტერმინი გლობალური პოლიტიკოსები [8], რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს ახორციელებენ ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში. მსოფლიო ეკონომიკა და გლობალური ბაზრები ერთი სისტემაა. საქმე ისაა, რომ მთავრობები ერთმანეთს შეჰყურებენ ეკონომიკური კრიზისის დროს და მთელ მსოფლიოში არაკონფლიქტური ლოზუნგაში გაისმის მხოლოდ. როგორც ეკროპა და აღმოსავლეთ აზია, ამერიკის სახელმწიფოც დგას ეკონომიკური კონფლიქტების პერსპექტივის წინაშე, მას დღითიდენ ეზრდება სავაჭრო დავების აღბათობა ეკონომიკური მისამის განვითარებული სიტუაცია სასწრაფო დარეგულირებაშია.

მსოფლიო ეკონომიკა შიდა წვის ძრავას ჰგავს, მოიხმარს უფრო მეტს ვიდრე აწარმოებს. ქვეყნებს შორის კი უვადო ეკონომიკური შუამდგომლობა არ ხდება, რასაც ხშირად მოჰყვება ომები სიწმინდის, ადამიანის უფლებების და ა.შ. დაცვის საფარქვეშ.

ნავთობი და მისგან გამომდინარე ეკონომიკა დღევანდელი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. როდესაც მოხდა სტაგფლაცია (წარმოების შემცირების და ფასების ზრდის პროცესი) მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ნავთობის დიდი რეზიუვის მქონე ქვეყნები გაერთიანდნენ OPEC-ში, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების გაერთიანებაში. ისინი ცდილობდნენ შეემცირებინათ წარმოების მოცულობა ფასების მატების მიზნით. ამგვარი ექსპორტიორი ქვეყნები ახლაც ცდილობენ წარმოების და კაპიტალის ზრდას და ასევე მსოფლიო ლიდერობისათვის თვით ექსპორტიორი ქვეყნების ექსპანსიას. დღეს აშშ მოიგო ეკონომიკური ომი ლიბიაში და ამით თავის ფინანსურ კაპიტალს უფრო მეტად გაზრდის. ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებამ ნამდვილად შეუწყო ხელი ნავთობზე ფასების ზრდას და ის დროთა განმავლობაში ინტენსიურ მატებას განიცდის. 1973-1975 წლებში ნავთობის ფასმა ორჯერ მოიმატა და ეს ორმაგი მატება კიდევ მოხდა 1978-1981 წლებში. მართალია ამან ინფლაციის შტერებას შეუწყო ხელი, მაგრამ სტაგფლაცია ისევ გაიზარდა, რამაც უმუშევრობა გამოიწვია. 1986 წელს ორგანიზაციაში გამოწვეულმა განხეთქილებამ ნავთობის ფასების დაცემა და უმუშევრობის დონის შემცირება გამოიწვია. 1990 წელს სპარსეთის უურის ომის წინ მოხდა ნავთობზე ფასების მატება, რადგან სანგრძლივ შეიარაღებულ კონფლიქტს შეეძლო ნავთობის წარმოების დაბრკოლება. ნავთობზე ფასების ზრდა პოლიტიკური მოვლენის პარალელურად ხდება, რაც აუცილებელი საჭიროების სამომხმარებლო ფასების ზრდას იწვევს. ეს თავისთავად

განაპირობებს სოციუმის წევრების უკმაყოფილებას და სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ კონფლიქტს უწყობს ხელს. ეკონომიკური სტაბილურობა და სოციუმის წევრების ეკონომიკური სახელმწიფო მმართველების მთავარ საზრუნავია. მათ უნდა გამოიყენონ ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელი იმისათვის, რომ გაანალიზონ ამ მოვლენის მნიშვნელობა ეკონომიკაში და შემდეგ სოციუმის ეფექტური მართვისათვის.

სწორედ ენერგორესურსებია ისტორიული განვითარების პროცესების მაპოვოცირებელი საშუალება. დღეს მსოფლიო დღითიდებები კოლონიალურ ენერგორესურსებს მოიხმარს და მათ შორის პრიორიტეტები ნავთობი და გაზია. ქვეყნები რომლებიც გამოიმუშავებენ ელექტროენერგიასა, მოიპოვებენ ნავთობსა და გაზს, სამრეწველო ქაშები არიან. მისგან შემოსული ძირითადი წილი სახელმწიფოს ეკუთვნის. ასეთი მდგომარეობა საფრანგეთში, რუსეთსა და იტალიაშია, ხოლო აშშ და დიდ ბრიტანეთში – კერძო კომპანიებს, ამ საკითხში თანაფარდობაა გერმანიაში.

ურიგო არ იქნებოდა ნავთობის ისტორიული განვითარებისთვის გადაგვევლო თვალი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს მამოძრავებელი ძალაა. იგი სათავეს მე-20-ს. იღებს. მეორე მსოფლიო ომამდე ნავთობი საერთაშორისო ბაზარზე ნაკლებმიშვნელოვანი იყო, ვიდრე ნახშირი. მეორე მსოფლიო ომმა შეცვალა ვითარება, ქუვეითელი შეიხები საკუთარი ფეხით ჩავიდნენ აშშ და მთავრობას თხოვეს დახმარება წყლის მოპოვების საკითხში, რადგან მათი თქმით, შეუძლებელი იყო უდაბნოში, რადგან აქლემები უკვე უწყლოდ იხოვებოდნენ, ისინი ითხოვდნენ არტეზიული ჭაბურღილების გათხრის საკითხში დახმარებას, რადგან სადაც არ უნდა დაეწყოთ თხრა უკელგან შავი თხევადი წყალი ამოდიოდა. აშშ მთავრობამ ეს მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ქუვეითელი შეიხების დახმარების მოტივით თითქმის ოცი წელი უფასოდ ტუმბავდა ამ ძვირფას სითხეს. თუკი თავდაპირველად ნავთობის ფასი საკმაოდ დაბალი 18 ლიტარს შეადგენდა, ნელ-ნელა მან შეძლო საერთაშორისო ბაზრიდან სხვა ენერგორესურსები გამოედგნა და თვითონ დაეკავებინა პირველი ადგილი. დღეს ნავთობის ფასი საკმაოდ დიდია და ის არეგულირებს უკელა სამომხმარებლო საშუალებაზე საქართველოს ფასს. თავდაპირველად ნავთობის შემცირების მიზნით შეიქმნა ეწ. საერთაშორისო ტეკა. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ნავთობის მომპოვებელმა ქვეყნებმა მოახდინეს ნავთობის ნაციონალიზაცია და შექმნეს ექსპორტიორი ქვეყნების გაერთიანება კარტელი. ამან ნავთობზე ფასების აწევა და ენერგოკრიზისი გამოიწვია, მაგალითად აშშ თავისი მოთხოვნის

ნახევარს ფარავდა იმპორტის ხარჯზე. ექსპორტით კვეყნების მიერ ჩამოყალიბებულმა კარტელმა და მისმა მოქმედებებმა ნავთობზე ფასების გაზრდა გამოიწვია, მიუხედავად ამგვარი შოკური მდგომარეობისა განვითარებულმა ქვეყნებმა სხვა უფრო იაფ ენერგორესურსებზე გადასვლით უპასუხეს. ნექოს ქვეყნები ცდილობენ არეგულირონ ფასები საერთაშორისო ბაზარზე. ზოგადად ყველა ქვეყნისათვის სასურველი ფასების მიღება მარტივი არა, რადგან მოთხოვნა და მიწოდება სხვადასხვაგვარია. ასევე მნიშვნელოვანია ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების არსებობა ქვეყანაში, რადგან ისინი უფრო მეტ სარგებელს იღებენ. სასურველია ქვეყანა ამ მიმართულებითაც იმუშაოს. ყოველ ტექნოლოგიურ განვითარებას და მის შედეგად წარმოებული პროდუქციის დამუშავებას გარკვეული საფრთხეები მოყვება, მაგრამ შამაცანურს მხოლოდ გაძელებები სვამენ. ნავთობ მომპოვებელი ქვეყნების ხელში მოთავსება კი ოქროს ყულაბაა, სწორედ ამგვარი გამარჯვება მოიპოვა აშშ ლიბიაში და სამომავლოდ ის მისი ფულის (შავი ოქროს სახით) ძირითადი წილის თანამფლობელი გახდა.

მნიშვნელოვანი ენერგორესურსია ასევე გაზი. აღმოსავლეთში გაზის ყველაზე დიდი ექსპორტით კვეყანა რუსეთია, რომელიც მსოფლიო მოცულობის დაახ. 25%, ხოლო აშშ 23% ახორციელებს. ამ ორ ენერგორესურსით ძლიერ სახელმწიფოს შორის ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ლიდერობაზე გაზასადენების ქსელის შექმნის თვალსაზრისით რთულია, რადგან ეს განსაზღვრავს ქვეყნის ერთერთ ფინანსურ გარანტიას.

მსოფლიო ლიდერობის მოპოვება სხვა არაფერია თუ არა ეკონომიკური ბერკეტების გავრცელება მთელს მსოფლიოზე. ამჟამად კი მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარს ორი ძლიერი ლიდერი ჰყავს ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის სახით. ბევრი ეკონომიკის ექსპერტი ამ სიაში მოისაზრებს ჩინეთსა და ინდოეთს. ჩინეთის მანიპულირებით ცდილობდა სწორედ რუსეთის სახელმწიფო ამერიკული ეკონომიკის რდგვებას და ურჩევდა ჩინეთის სახელმწიფოს გაეყიდა ამერიკის უმსხვილესი იპოთეკური სააგენტოს ობლიგაციები, რაზეც ჩინეთმა უარი განაცხადა, რადგან მისი ეკონომიკა დიდადად დამოკიდებული ამერიკის სახელმწიფოზე. ეს ფაქტი კი საქართველოსთვის ერთი მიზეზით იქცევს ურადღებას, კერძოდ კი ეკონომიკური სიტუაციების დახლართვას რუსეთი 2008 წლისთვის ცდილობს, მაშინ როდესაც რუსეთის სახელმწიფომ შეიარაღებული ძალით საქართველოს ტერიტორიები მიითვისა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დიდ მხარდაჭერა გამოუცხადა ჩვენს ქვეყანას. რუსეთის სამოქმედო გეგმა არა მხოლოდ ტერიტორიების ლიკვიდაცია, არამედ

საქართველოს მხარდაჭერი პარტნიორების ჩამოცილება შეადგენდა. მიუხედავად ამისა ამერიკის ეკონომიკამ მარც განიცადა მკვეთრი ვარდნა, რაც შესაბამისად რუსეთის სახელმწიფოსაც დაატყედა თავს, რადგან მსოფლიო ხედლები ბაზრები შესაბამისად განიცდიდნენ რყევას.

გლობალიზაციის პროცესში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ომის ფაქტორი, როგორც საერთო ისე შიდა სახელმწიფოებრივი ეკონომიკის მართვის თვალსაზრისით. ომის შინაარსი და საშუალებები პირდაპირპროპრციულია ომის მწარმოებელი ქვენის ეკონომიკასთან. როგორც არაერთხელ დამტკიცდა ომი ადამიანის მიერ მართვადი პროცესია, ის ხომ კაპიტალის დაგროვების ძირითადი საშუალებაა, ასე მაგალითად მეორე მსოფლიო ომი და ამერიკის ეკონომიკის ზრდა. ომი შეიძლება დაიწყოს პირმა ან კომპანიამ, რომელსაც ხელშეკრულების საფუძველზე მსოფლიო კაპიტალის ხელში ჩაგდება აქს გამიზნული. წარსული დროიდან ომი სხვა არაფერია თუ არა ნედლეულის, ფულის, იარაღის ხელში ჩაგდების მცდელობა. უმრავლეს შემთხვევაში ყველა წარმოქმულ ომს მსოფლიოსა და საქართველოში სხვათ დახმარებისა და განმანთვისუფლების ნიღაბქვეშ სწორედ ფინანსური სარჩეული ედო. ზოგადად, ომის საშუალებებს შეუძლია შეცვალონ ომის აზრი და ომის წარმოების ტექნიკური საშუალებები. მნიშვნელოვანია რისი ადიარებაც ჩვენ არ გვსურს, ისაა რომ ომის საშუალებები თვითმყოფადი გახდა. განვითარებული ქვეყნებისათვის სირთულედ იქცა როგორ აწარმოონ ეკონომიკური ომი ისე, რომ მხოლოდ დამხმარის ფუნქცია შეინარჩუნონ. ჯვაროსნების ბრძოლა ქრისტეს სახელით ხომ სწორედ კაპიტალის დაგროვების არნახული შემთხვევაა. ომს კაპიტალის გადროვების მიზნით გადაულახვი ეკონომიკური სიტუაციები ქმნის, რომლის დროსაც საჭიროა მოქმედება. სწორედ ფინანსებია ის მთავარი ძალა რომელიც სახელმწიფოთა არსებობასა და გაძლიერებაში დგეს. ფული კარგია, მაგრამ მას ერთი ფატალური თვისება აქს, ის ომთანაა თანაარსებობაში. თავისუფალი ეკონომიკური ბაზრისათვის კი მნიშვნელოვანი კონკურენციაა, რომელსაც ეკონომიკურ ომს ვუწოდებთ, ომს ნედლეულის გასაღების ბაზრისათვის, ომს ძლიერის სტატუსის მოპოვებისათვის, ომს არაჩარულთა გვერდით დგომისათვის. ინსტიტუციონალიზაციები თვლიდნენ, რომ სამხედრო ძალა დღეს ეკონომიკურმა ურთიერთობებმა შეცვალა.

როგორც პლანეტაზე, ისე მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზეც, ხდება პატარ-პატარა აფეთქებები, ზოგი მსუბუქი, ზოგიც შედარებით მძიმე. საქართველო, რომელიც ჯერ კიდევ მსოფლიო პოლიტიკურ

რუკაზე საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად იბრძვის, აუცილებელია მოქნილი დიპლომიატია. ეკონომიკა ეს არის მაშტაბური და საყოველთაო, რომელსაც ეგზისტენციალიზმთან არა აქვს საქმე, ამიტომაა საჭირო ის მიუბრუნდეს თითოეულს, ცალკეულ ფინანსებრ სტრუქტურებს, რათა მისი საქმიანობა უფრო ეფექტური გახდეს.

ადრეული საუკუნეებიდან მოყოლებული მე-19 საუკუნის დასაწყისამდე ომის წარმოება გარევეული ბაზრების მოპოვების სურვილით იყო განაირობებული, ახლა ომის მანიპულატორი იარაღი ბუნებრივი რესურსებია. აქედან გამომდინარე შეიძლება გაჩნდეს კითხვა, ხომ არ მოიცავს ეს ომის მანიპულირებას რომ ეკონომიკა განსაზღვრას ქვეყნის არსებობის ძირითად ნიშან-თვისებებს? მართალია ყველაფერი არ შედის ეკონომიკის სფეროში, მაგრამ ის ყველაფერს მოიცავს, სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ ეკონომიკა ყველაფერშია და ამავე დროს არაფერში. სწორედ ეკონომიკური საშუალებები ხდება სახელმწიფო შორის არსებული დაგების გადაწყვეტის მთავარი საშუალება, კერძოდ კი სანქციების შემოდება ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებშიც დარღვეულია ადამიანთა უფლებები, ხდება ტრეფიკინგი, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ბირთვული იარაღის წარმოება, ტერორიზმის ხელშეწყობა და ა.შ.

## ლიტერატურა

### References:

1. ekonomikuri diplomati - n. babuaZe, m. papaSvili, e. baraTaSvili, i. kveselava. gamomcemloba `graali~. Tbilisi 2011
2. g. baRaTuria – strategiuli dagegmva (meTodologuri safuZvlebi) teqnikuri universiteti. Tbilisi 2009. gamomcemloba `cis nami.
3. S. malaSxia konfliktebis anatomia. Tbilisi 2011 weli. gamomcemloba stamba `forma~
4. T. aqubardia – ekonomikis saxelmwifo regulireba da ekonomikuri politika. Tbilisi 2005.
5. demna kvaracxelia – globalizacia, suverenuli saxelmwifo, erovnuli ekonomika. Tbilisi 2003. gamomcemloba `universali~.
6. ekonomikis aqtauluri problemebi globalizaciis pirobebSi – paata guliaSvilis ekonomikis institutis daarsebis dRisadmi miZRvnili saerTaSoriso samecniero-praktikuli konferenciis masalebis krebuli – Tbilisi 2011
7. Економическая Война – Ю С Курочкин – сибирское университетское издательство новосибирск 2001
8. [www.gallup.com](http://www.gallup.com)

**Tea Khachidze**  
**Economic Globalization**

**Summary**

The current processes in the world, formation of the countries, distribution of powers and struggle for being the leader, seizure of economic leverage naturally caused economic conflict between the countries. Diplomacy, which promotes conflict regulation in competitive conditions, plays important role in economic relations among the leading countries. A country should have external economic relations for economic development. It has strong influence on the world and, the basis of this are those international or local economic organizations which have leading role in the world economic. The economic relations make the International relations. For clarification of this issue, it is important to define these two terms: economic globalization and economic universalization. Universalization pays special attention to that factor that our planet became a common space, and globalization means unification of all existing interrelations. Economic globalization causes changes of culture, values and as a result, pose of conflicts is natural. Well-developed pressure principles are being implemented for getting economic leader position. Several means of pressure are used for weakening the economy of the opposition country and thus, have opportunity to occupy it. It is difficult to make border between the economy and politics.

The world economy looks like an internal combustion engine, it consumes more than produces. There is no open-ended petition between the countries and this often results in wars as if for protection of holy things, human rights and so on.

Thus, economic globalization is the all covering process and the provocation means for historical development.

**Keywords:** economic globalization, economic universalization, world economy, historical development.

**Reviewer:** Professor Teimuraz Todua, Georgian Technical University

**Tea Xachidze**  
**Экономическая Глобализация**

**Резюме**

Текущие процессы в мире, формирование государств, распределение полномочий и борьба за лидерство, захват экономических рычагов естественно вызывает конфликты между государствами. Дипломатия, которая способствует урегулированию конфликта в конкурентоспособных условиях, играет важную роль в экономических отношениях между ведущими государствами. Государство должно иметь внешние экономические связи для экономического развития. Она имеет сильное влияние на мир и основой этого являются те международные или местные экономические организации, которые занимают ведущую роль в мировой экономике.

Экономические отношения способствуют развитию международных отношений. Для разъяснения этого вопроса, важно определить эти два термина: экономическая глобализация и экономическая универсализация. Универсализация обращает особое внимание на тот фактор, что наша планета стала общим пространством, а глобализация означает объединение всех существующих взаимосвязей. Экономическая глобализация вызывает изменение культуры, ценностей и, естественно, это приводит к конфликтам. Хорошо развитые принципы давления используются для достижения экономического лидерства. Различные средства давления используются для ослабления экономики оппозиционных стран и, таким образом, дается возможность завоевать их. Трудно провести границу между экономикой и политикой.

Мировая экономика выглядит как двигатель внутреннего сгорания, он потребляет больше, чем производит. Не существует открытого **ходатайства** между государствами и это часто приводит к войнам, как будто для защиты святынь, прав человека и так далее.

Таким образом, экономическая глобализация общий процесс и провокационное средство для исторического развития.

**Ключевые слова:** экономическая глобализация, экономическая универсализация, мировая экономика, историческое развитие.

**Рецензент:** Профессор Теймураз Тодуа. Грузинский технический университет.

**დაგინარჩუნებული აღმსაში  
შრომის მთიკის ორგანიზაციის საქართველოს ეკონომიკური  
უსაფრთხოების სისტემაში**

თავდაპირველად, განვსაზღვროთ ეროვნული ეკონომიკური სისტემის რაობა, რათა თვალსაჩინოდ გამოიკვეთოს შრომის ეთიკის როლი აღნიშვნულ სისტემაში.

საქართველოს მეცნიერულ წრეებში, ჯერ კიდევ 1996 წელს, შემუშავდა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ცნება, რომლის თანახმადაც, ეკონომიკური უსაფრთხოება, ეს არის ეროვნული ეკონომიკის უნარი უზრუნველყოს სახელმწიფოს, საზოგადოების და პიროვნების ეკონომიკური მდგრძალებელის მდგრადობა შიდა და გარე საფრთხეების პირობებში.

ასევე უმნიშვნელოვანესია, სამი ზოგადი ელემენტი, რომელიც ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ძირითად საფუძველს წარმოადგენს:

1. ეკონომიკური დამოუკიდებლობა;
2. ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობა;
3. თვითგანვითარების და პროგრესის უნარი.

შრომის ეთიკას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამივე ელემენტის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის, ამ მოსაზრების დასასაბუთლებად უკეთესი იქნება განვსაზღვროთ შრომის ეთიკის ცნება.

შრომის ეთიკა ეს არის შეხედულებების, პრინციპების, წესების, მეთოდების და ტრადიციების ერთობლიობა შრომის შესახებ, რომელიც სცილდება პოზიტიური სამართლის იურიდიულ ჩარჩოებს.

ადსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში სახელმწიფო, საზოგადოება და პიროვნება გვეკვინებიან განსხვავებული შრომის ეთიკის მატარებელ სუბიექტებად, თუმცადა სახელმწიფოს რეალური აღმშენებლობისათვის აუცილებელია საზოგადოების, პიროვნების და სახელმწიფოს მიღვმა შრომის ეთიკის მიმართ იყოს მაქსიმალურად პარმონიული და დაბალანსებული.

მსოფლიოში არსებობს უამრავი თეორია, მიმდინარეობა და იდეოლოგია შრომის ეთიკის შესახებ, მათგან აღსანიშნავია პროტესტანტული შრომის ეთიკა, რომელიც ბევრ მოწინავე ეპროპულ სახელმწიფოშია გავრცელებული, რამაც განაპირობა ამ სახელმწიფოების ეკონომიკური წარმატების საიდუმლო (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, შვეიცარია და აშ.)

საქართველოში უძველესი დროიდან შრომისადმი დამოკიდებულება უაღვესად აქტიური და დადებითი იყო, რაც ყველაზე მთავარია, შრომა იყო შემოქმედებითი პროცესი ყველა სოციალურ ფენაში და

პროფესიათა თუ ხელოვნების ყოველ დარგში, ამის ნათელი მტკიცებულება არის ის ხელოვნების ნიმუშები, ტაძრები და ნაგებობები, წესები და ტრადიციები, რომლებმაც დღემდე მოაღწიეს და მსოფლიოს გაოცებას იწვევს თავისი უნიკალურობით.

ძირითადი ხაზი, რაც ისტორიული საქართველოს შრომის ეთიკაში შეინიშნება ეს არის თავაზანირული, შრომისადმი შემოქმედებითი მიღებობა. ამასთან აუცილებელია გამოიყოს ის ძირითადი ელემენტები საქართველოს ისტორიული შრომის ეთიკიდან, რომელთაც განაპირობებს საქართველოს ეკონომიკური სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მთელი ისტორიის მანძილზე. მრავალჯერ ყოფილა ისეთი მომენტები, როდესაც ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით განადგურების პირას მისული ქვეყანა გადარჩენილა და საოცრად მოკლე დროში ადორძინებულა, ეს სწორედ იმ შრომის ეთიკის, იმ რწმენის და ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის დამსახურებაა, რომელიც პირობითად შემდეგი ელემენტებისგან შედგებოდა: 1)ადამიანური რესურსები, 2)შრომის ეთიკა, 3)ბუნებრივი რესურსები

მოცემული ელემენტებმა თავის მხრივ განაპირობებს იმ ძირითადი კრიტერიუმების დაკმაყოფილება, რასაც სახელმწიფოს ეფექტური ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემა მოითხოვს.

ადნიშნული ელემენტებიდან დებალურად შევჩერდეთ შრომის ეთიკის განხილვაზე. ისტორიულად საქართველოში შრომის ეთიკას ახასიათებდა შემდეგი ნიშნები:

1. შრომის ეთიკის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა მართლმადიდებლური ქრისტიანული მსოფლმხეველობა.

2. შრომისადმი დამოკიდებულება, საზოგადოების ყველა სოციალურ ფენაში იყო მაქსიმალურად შემოქმედებითი, ყოველდღიური შრომა, იქნებოდა ეს ფიზიკური, გონებრივი თუ სულიერი განხილებოდა, როგორც აუცილებელი მოვლენა.

3. ხელოვნებათა, პროფესიათა თუ ხელობათა დარგებში არსებობდა ბევრი პრიორიტეტული დარგი, რომელთა პრიორიტეტულობა სახალმწიფო საჭიროებიდან გამომდინარეობდა ესენია: მიწათმოქმედება, არქიტექტურა, მშენებლობა, მაღალკვალიფიციური მეომრობა, მჭედლობა, დურგლობა, ქსოვა, ქარგება და აშ.

4. პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს მხრიდან არსებობდა პარმონიული დამოკიდებულება შრომის ეთიკის მიმართ. მთავარი როლი, შრომის ეთიკის ჩამოყალიბებასა და აღსრულებაში ეკისრებოდა საზოგადოებასა და პიროვნებას. სახელმწიფო ძირითადად პასიურ იყო, ოქროს ხანის გარდა, როდესაც დაკით

ადმაშენებლის პოლიტიკით, სახელმწიფომ განსაზღვრა დარგობრივი პრიორიტეტი და დაიწყო აქტიური წახალისება იმ პროცესებისა, რომელიც გადამტკვები როლი შეასრულეს სახელმწიფოს სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური აღორძინების საქმეში ეს პროცესებია: სამხედრო რეფორმა, სოფლების აღდგენის მიზნით მოსახლეობის მთიან ბარად ჩამოსახლება, ვაჭრობის ხელშეწყობა, სურომოდვრების დაფინანსება და განვითარება.

5. საზოგადოება იყო შემოქმედი და დაცველი შრომის ეთიკისა, რომელიც მოქმედებდა, როგორც დაუწერელი კოდექსი. სწორედ შრომის ეთიკის დამსახურებით საზოგადოების უველა წევრი დასაქმებული იყო, სხვანაირი ცხოვრების წესი, მატერიალური ქონების დაგროვება თაღლითური ან ყაჩაღური გზებით უაღრესად დასაძრას ქმედებად აღიქმებოდა.

ზემოთ ნაჩვენები ისტორიული რაკურსიდან გამოიკვეთა ის პრინციპები, რომლებიც დღესაც აქტუალური უნდა იყოს თანამედროვე შრომის ეთიკის ჩამოყალიბების პროცესში. უნდა ადინიშნოს, რომ დღეს, საქართველოს საზოგადოება უაღრესად პასიურია, როგორც შრომის ეთიკის შემოქმედი და აღმასრულებელი სუბიექტი, საზოგადოებაში გავრცელებული აზრით, პრესტიულ მიზნად იქცა მაღალი სოციალური სტატუსი, კარიერული წინსვლა და მატერიალური სიმდიდრე, მაგრამ გადამტკვებ მნიშვნელობას ადარ ანიჭებენ ამ სტატუსის და სიმდიდრის მოპოვების საშუალებებს.

ადნიშნულმა ტენდენციებმა განაპირობებს სამწუხარო შედეგის დადგომა. აშვარად შეინიშნება: საზოგადოების, ერის გაზარმაცების პროცესი, მასიური უმუშევრობა, სამუშაო ადგილების არარსებობა, ეკონომიკური სიდუხებირე, სოფლიდან დედაქალაქში ხალხის გადმოსახლება, საქართველოდან საზღვარგარეთ ადამიანური რესურსების გადინება, ემიგრაცია. ამ ყველაფერში დიდი წვლილი მიუძვის შრომის ეთიკის არ არსებობას, შრომისადმი დამახიჯებულ მიღვომას, ამის ნათელი მაგალითია საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი: ქართველი ადამიანი ხშირად თაკილობს საქართველოში ისეთი სამუშაოების შესრულებას, რასაც საზღვარგარეთ წლების განმავლობაში აკეთებს. გამოსავალი აღნიშნული მძიმე სიტუაციიდან შემდეგია, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ძალისხმევით უნდა შეიქმნას ახალი თანამედროვე სტანდარტების, პრობლემების და გამოწვევების შესაბამისი შრომის ეთიკა, რომელიც მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ძველ ქართულ ტრადიციულ შრომის ეთიკასთან, ამ პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს და თითოეული

პიროვნების როლი, აუცილებელია შეიქმნას დასაქმების, გადამზადების და მომზადების ცენტრები, სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს პრიორიტეტული დარგების წინ წამოწევა და შესაბამისი რეკლამირება, რათა ახალგაზრდობის მხრიდან შესაბამისად მოხდეს აღნიშნულ დარგებზე არჩევანის გაკეთება და განვითარება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების მხრიდან თვითგანვითარებას და თვითდასაქმებას, რაც ამ პიროვნების მიერ მაღალი მოტივაციით და სწორი შრომის ეთიკის ფლობით მიიღწევა.

ასე რომ, შრომის ეთიკას უდიდესი როლი ენიჭება საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში, რაც შეეხება, კონკრეტული შრომის ეთიკის კონცეფციის მოდელს, ეს თემა ნამდვილად იმსახურებს ცალკე განხილვას, სულ მცირე მეცნიერული ნაშრომის დონეზე.

აღსანიშნავია, რომ ცალკე უნდა გამოიყოს სახელმწიფოს, საზოგადოების და პიროვნების როლი, შრომის ეთიკის კონცეფციის მოდელთან დაკავშირებით.

ცნობილი გერმანელი მოდვაწის და მეცნიერის მაქს ვებერის ნაშრომში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ შესანიშნავადაა განხილული პროტესტანტული მიმღინარეობების, კერძოდ, ლუთერანიზმის და კალვინიზმის როლი რაციონალური კაპიტალიზმის ჩამოყალიბებაში.

ჩვენს შემთხვევაში, შევეცდებით წარმოვაჩინოთ მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის როლი საქართველოს სახელმწიფო ეკონომიკური სისტემის განვითარების და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

არსებობს ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება, თითქოსდა, მართლმადიდებლობაში არ არსებობს ის მყარი იდეოლოგიური საფუძვლები, რაზეც შეიძლება დაეფუძნოს სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის სწრაფი რაციონალური განვითარება, სინამდვილეში საქმე პირიქითაა, სწორედ მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა პქმნის იმ ნოუიერ ნიადაგს, რაზეც შესაძლებელია შეიქმნას ეფექტური, აქტუალური და მუდმივად მდგრადი ხასიათის მქონე შრომის ეთიკა, რომელიც თავის ნაყოფიერებას არ დაკარგავს არც ერთ ისტორიულ ეპოქაში.

განვიხილოთ მართლმადიდებლური მოდდვრების ზოგიერთი პოსტულატი, რომდებიც საფუძვლად დაედო მართლმადიდებლური შრომის ეთიკის ჩამოყალიბებას.

## 1. „დირს არს მუშავი სახყიდლისა თვისისა“ (მათე)

აღნიშნული პოსტულატი გარდა სულიერი დატვირთვისა იქნება სხვა ყოფით ცხოვრებისეულ მნიშვნელობასაც, კერძოდ, კარგი საფუძველია თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული სახელშეკრულებო შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა, სადაც „მუშავი“თვისი შრომის სანაცვლოდ იღებს ანაზღაურებას.

2. „მიეცით გეისარსა გეისრისაი, ხოლო ღმრთისაი ღმერთსა“ (მათე 22-21) ეს დებულება პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში სამეწარმეო ან სხვა ტიპის რაიმე საქმიანობის განხორციელებისას, კანონით დადგენილი გადასახადები პირნათლად უნდა გადავიხადოთ, აქედან გამომდინარე, დაუშვებელია ნებისმიერი სახის „ჩრდილოვანი“ ჰკონომიკა ან გადასახადებისაგან თავის არიდება თადლითური გზებით. ყოველივე ეს კი აუცილებელ პირობებს წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის უსაფრთხოების და განვითარების თვალსაზრისით.

3. ძალზედ საინტერესოა, სახარებაში ჩვენი უფლის იქსო ქრისტეს მიერ მოყოლილი იგავი, ტალანტების შესახებ, სადაც მკაცრად არის ნაჩვენები უფლის მიერ ნაბომები ნიჭების „ტალანტების“ განვითარების აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული იგავის ძირითადი არსი, რათქმაუნდა, პირველ რიგში, სულიერი ნიჭის: რწმენის, სიყვარულის, სინაცვლის, სიწმინდის განვითარებას გულისხმობს, ამასთან ტალანტების იგავი თავისი შინაარსიდან გამომდინარე, პირდაპირ მიგვანიშნებს ადამიანის მხრიდან ნაყოფიერი და თავდაუზოგავი შრომის აუცილებლობაზე, თავისი საქმის კარგ პროფესიონალურ ჩამოყალიბებაზე, ინტელექტისა და ჯამრთელობის განვითარების აუცილებლობაზე, რაც მიიგწევა ხარისხიანი განათლების მიღებითა და ჯანსაღი ცხოვრების წესით. ეს იმიტომ, რომ გარდა სულიერი ნიჭებისა ინტელექტი, ჯამრთელობა და შრომის უნარიც, ხომ ღვთის მიერ ნაბომები საჩუქრებია და ეს ნიჭებიც ისევე საჭიროებენ განვითარებას, როგორც სულიერი ნიჭები.

გარდა ამისა, არსებობს უამრავი პრაქტიკული მაგალითი, როგორც მართმადიდებლური ეკლესიის ისტორიიდან, ასევე საქართველოს სამოციქულო აგტოკეფალური ეკლესიის ისტორიიდან, როდესაც წმინდა მამები და გამოჩენილი ეკლესიის ავტორიტეტები პირადი ღვაწლის და შრომის მაგალითს აძლევდნენ სხვებს.

ზემოთ მოვიყვანეთ მართლმადიდებლურ მოძღვრებაში არსებული შრომითი ეთიკის საფუძლების მხოლოდ მცირე ნაწილი, ფორმატის სიმცირის გამო, შეუძლებელია სრულად მოვიყვანოთ ის

პრაქტიკული მაგალითები რითაც სავსეა მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია, უბრალოდ ორიოდე სიტყვით გაფიხსენოთ, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანების ყოველდღიური ცხოვრება შრომით და ლოცვით იყო დატვირთული.

საბოლოოდ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თანამედროვე შრომის ეთიკა, რომელიც ქართული საზოგადოების წიაღში უნდა აღმოცენდეს და დაიხვეწოს აუცილებლად უნდა დაეფუძნოს მართლმადიდებლური ქრისტიანულ მოძღვებას, ქართულ ტრადიციულ შრომის ეთიკას. ასევე აუცილებელია იმ მეთოდების, ტექნილოგიების და მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების გაანალიზება და გადმოღება, რამაც გამოიწვია II მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის და იაპონიის ეკონომიკის საოცრად მოკლე დროში აღორძინება. მე-19 საუკუნის მიწურულს იაპონიაში ფართოდ იყო გავრცელებული დევიზი „იაპონიური სული და ევროპული განათლება“. დღეს, საქართველოში სწორედ, რომ დროული და აუცილებელია ვიმოქმედოთ დევიზით „ქართული სული და ევროპული განათლება“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩამოვაყალიბოთ შრომის ეთიკის რამოდენიმე საგარაუდო პრინციპი, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის შემადგენელ ელემენტებთან და შესაბამისად საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ეფექტურ როლს ითამაშებს.

1. მაქსიმალური პროფესიონალიზმი პროფესიათა და ხელობათა ყოველ დარგში.

2. არ არსებობს სათაკილო (სამარცხვინო) პროფესია;

3. ყოველი საქმის დაწყება, წარმოება და დასრულება თანხევდრაში უნდა იყოს სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებთან;

4. მთავარია მადალ სარისხიანად შესრულებული საქმე და არა მადალი თანამდებობა;

5. ვაკეთოთ ის, რისი ნიჭიც გვაქს, რაც გვიყვარს ან რასაც სამშობლო მოითხოვს;

6. პროფესიათა არჩევისას ნუ მივაჩევთ ყურადღებას პროფესიათა ფეხვდო პრესტიჟულობას, ყური ვუგდოთ საკუთარ ნიჭს და შინაგან მოწოდებას;

7. შევინარჩუნოთ ქართული ტრადიცია, გადმოვიდოთ გერმანული დისციპლინა, იაპონური კოლექტივიზმი და ამერიკული უნივერსალიზმი, შევაჯეროთ ყოველივე ეს და ისე შვიმუშავოთ ზოგადი თუ კონკრეტული საწარმოს სამოქმედო პრინციპები;

8. ყოველივე პროფესიის ადამიანისთვის შრომა უნდა გახდეს შემოქმედებითი პროცესი;

9. საქართველოს სახელმწიფოს განვითარება შეძლებელია ძლიერი სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე, ამიტომ თავდაუზოგად უნდა ვიშრომოთ სოფლის აღორძინებისათვის;

